პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 22 ოქტომბერი, 1947 წ. № 211 (7995). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ახალმშენებლობათა კოლექტივების საბრძოლო ამოცანები—მოწინავე (1-ლი გვერდი).
ვალდებულებათა შესრულება (1-ლი გვერდი).
დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის შესახვედრად (1-ლი გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და პრინციპების უხეში დარღვევის წინააღმდეგ—ა. ა. გრომიკოს გამოსვლა პოლიტიკურ კომიტეტში 1947 წლის 17 ოქტომბერს (მე-2 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესია (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

ახალმშენებლობათა კოლექტივების საბრძოლო ამოცანები

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმა კაპიტალური მშენებლობისათვის ითვალისწინებს 4.120 მილიონ მანეთს. მეტალურგიული და საავტომობილო გიგანტები, მძლავრი ელექტროსადგურები, მილიონობით ტონა საერთო სიმძლავრის ქვანახშირის ახალი შახტები, სამთო მანქანათმშენებლობის, პლასტმასის ნაკეთობათა, ლოკომოტივშემკეთებელი მძლავრი ქარხნები, საფეიქრო კომბინატი, მსუბუქი, ადგილობრივი, საშენი მასალების, კვების, საგემოვნო, ხორცისა და რძის მრეწველობის ასობით საწარმო, მთელი რიგი არსებული საწარმოების რეკონსტრუქცია და მათი სიმძლავრის გადიდება, სარწყავი სისტემების ფართო ქსელის მოწყობა, კოლხეთის ჭაობებში 20 ათასი ჰექტარი ფართობის ამოშრობა, 732 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობის აგება, რესპუბლიკის ქალაქებისა და პირველ რიგში დედაქალაქის შემდგომი კეთილმოწყობა, — აი რას ხმარდება ახალი ხუთწლედით გათვალისწინებული კაპიტალდაბანდებანი.

რესპუბლიკის ახალმშენებლობათა კოლექტივების უმრავლესობა წარმატებით ახორციელებს მეოთხე სტალინური ხუთწლედით მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. ცენტრალიზებულ კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობამ ახალი ხუთწლედის პირველ სამეურნეო წელს 88,9 პროცენტით გადააჭარბა 1945 წლის ფაქტიურ დაბანდებებს, ხოლო მიმდინარე წლის 9 თვეში შესრულებული კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 17,7 პროცენტით სჭარბობს წარსული წლის იმავე პერიოდის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას.

ხრამის ჰიდროელსადგურის მშენებელთა კოლექტივმა მიმდინარე წლის 9 თვეში მშენებლობის წლიური პროგრამა 102 პროცენტით გაანაღდა. მზად არის წყალსაცავი და სხვა რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, სწარმოებს გვირაბის შელესვა წყლის გაჟონვის თავიდან ასაცილებლად. სადგურის პირველი აგრეგატისათვის დამთავრებულია მილსადენების შედუღება და ახლა სპეციალური აპარატის საშუალებით სწარმოებს შედუღების ხარისხის შემოწმება. მიმდინარეობს მილსადენის დამონტაჟება მეორე აგრეგატისათვის. მემონტაჟეებმა უკვე დაამთავრეს პირველი ტურბინის მონტაჟი და ახლა ისინი გენერატორის დამონტაჟებაზე მუშაობენ. ელექტროდენის გადამცემი ხაზის ანძების დადგმა ხრამიდან თბილისამდე დამთავრებულია, ხოლო 80 პროცენტით არის შესრულებული გადამცემი ხაზის გაბმის სამუშაოები. ძირითადად დამთავრდა დიდუბის ქვესადგურის შენობის აგება და სწარმოებს ელექტრომოწყობილობათა მონტაჟი.

ამგვარად, მშენებელთა კოლექტივმა ყველა პირობა შექმნა იმისათვის, რომ ხრამის ელსადგურის პირველი აგრეგატი ამუშავდეს მიმდინარე წლის ბოლოსათვის. მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის ხრამჰესის მშენებლები თებერვლიდან ზედიზედ გამარჯვებულნი გამოდიან საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მტკიცედ ინარჩუნებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ დროშას.

მაღალნაყოფიერად მუშაობს სოხუმის ჰიდროელსადგურის მშენებლობის კოლექტივიც, რომელმაც 9 თვეში შეასრულა სადგურის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა. თვალსაჩინო წარმატებას აღწევენ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლები. პირველი სამშენებლო უბნის კოლექტივმა ამ დღეებში დაამთავრა სამსხმელო საწარმოთა ბლოკის ერთ-ერთი კორპუსის ლითონკონსტრუქციის განყოფილების დამონტაჟება. ახლა უბნის კოლექტივი მუშაობს სარემონტო-სამსხმელო საამქროს სამონტაჟო სამუშაოებზე. წარმატებით ასრულებენ სამშენებლო გეგმებს მეორე და მეხუთე სამშენებლო უბნები. დამაკმაყოფილებლად სწარმოებს საბინაო მშენებლობაც.

მაგრამ ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ მნიშვნელოვან ობიექტზე სავსებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა როდია. ავტოქარხნის მშენებლობისათვის განვლილ სამ კვარტალში გამოყოფილი სახსრები მთლიანად არ არის ათვისებული.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზეც. ქარხანამ პირველი პროდუქცია მომავალი წლიდან უნდა მოგვცეს. მშენებელთა კოლექტივი კი სანახევროდ ძლივს ითვისებს იმ სახსრებს, რომელიც მიმდინარე წელს ამ გიგანტის მშენებლობისათვის არის გათვალისწინებული. შეუსრულებელია როგორც პირველი და მეორე, ისე მესამე კვარტალის სამშენებლო სამუშაოთა გეგმები. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებელთა კოლექტივის სახელისა და ღირსების საქმეა პირნათლად შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები, დაამთავრონ ახალ ხუთწლედში ქარხნის მშენებლობა.

ახალციხის ქვანახშირის პირველი შახტი, რომელიც მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უნდა გადაცემულიყო საექსპლოატაციოდ, დღემდე არ არის ამუშავებული. ამიტომაა, რომ ახალციხელმა მეშახტეებმა ქვანახშირის ამოღების მეორე კვარტალის გეგმა 62,6 პროცენტით შეასრულეს, ხოლო მესამე კვარტალისა მხოლოდ 11,2 პროცენტით.

დიდად ჩამორჩება მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობა ჭიათურაში. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთი რესპუბლიკური სამრეწველო სამინისტროების მიერ მიმდინარე წლის სამშენებლო პროგრამების შესრულების მიმდინარეობაზე. სამინისტროთა დიდი უმრავლესობა ვერ ითვისებს მშენებლობისათვის გამოყოფილ სახსრებს და კვარტალიდან კვარტალამდე ჩამორჩება მშენებლობის გეგმების შესრულებაში.

ლენინგრადელთა მიმართვის საპასუხოდ, საქართველოს სს რესპუბლიკის ახალმშენებლობათა კოლექტივებმა იკისრეს მშენებლობის წლიური გეგმების ვადამდე შესრულება, დიდი ოქტომბრის XXX წლისთავისათვის ღირსეული მაჩვენებლებით შეხვედრა. ახალმშენებლობათა სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა ყველა პირობა შეუქმნან მშენებელთა კოლექტივებს ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად.

მშენებლობათა ხელმძღვანელების ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი ამოცანა ახლა არის მშენებლობის მომზადება ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის. მუშათა საერთო საცხოვრებლების დროულად შეკეთება, სათბობის მომარაგება, მუდმივი ზრუნვა მშენებელ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და კულტურული მომსახურების ამაღლებისათვის, — მაღალნაყოფიერი მუშაობისა და მუშათა დენადობის აღმოფხვრის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

მშენებლობის ყველა უბანზე, ცვლასა და ბრიგადაში სტახანოვური განრიგის ფართოდ დანერგვა, მოწინავე სტახანოველთა მუშაობის მეთოდების თვითეული მუშის კუთვნილებად გადაქცევა, მუშახელის სწორად განაწილება, საშენი მასალების მომჭირნეობით ხარჯვა, შინარესურსების მაქსიმალურად გამოყენება, მშენებლობათა დროულად უზრუნველყოფა პროექტებითა და ნახაზებით, ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების შემცირება,— აი რით მივაღწევთ მორიგ წარმატებას თვითეულ ახალმშენებლობაზე.

ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე სამეურნეო წლის კაპიტალური მშენებლობის პროგრამა სავსებით რეალურია. ამას ნათლად ადასტურებს ახალმშენებლობათა მთელი რიგი კოლექტივების განვლილი მუშაობის მაგალითები.

ვიმუშაოთ უკეთესად, ვაშენოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად, აუცილებლად შევასრულოთ ახალი ხუთწლედის მეორე სამეურნეო წლის სამშენებლო პროგრამები—ასეთია ახალმშენებლობათა კოლექტივების საბრძოლო ამოცანები მეოთხე კვარტალში.

აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერაციამ შეასრულა საქონელბრუნვის წლიური გეგმა

აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა 9 თვეში 102,2 პროცენტით შეასრულა. რეალიზებულია 57.790 ათასი მანეთის საქონელი.

აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის საწარმოო კომბინატმა ამავე რიცხვისათვის 110 პროცენტით შეასრულა ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების წლიური დავალება. გეგმით გათვალისწინებული 030 ათასი მანეთის საქონლის ნაცვლად, გამომუშავებულია 1.122 ათასი მანეთის საქონელი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების 3 კვარტალის გეგმა შესრულებულია 140 პროცენტით.

ქალაქებსა და დაბებში კოოპერაციული ვაჭრობისათვის შესყიდულია 378 ცენტნერი კარტოფილი, 808 ცენტნერი ბოსტნეული, 913 ცენტნერი ხორცი, 40 ცენტნერზე მეტი რძის ნაწარმი და სხვა პროდუქტები.

ვალდებულებათა შესრულება

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მოგახსენებთ თქვენ, რომ სტალინოს ოლქმა ვადამდე, 10 ოქტომბერს, შეასრულა პურის დამზადების დაწესებული სახელმწიფო გეგმა.

გეგმის გადამეტებით ჩაბარებულია 102 ათასი ფუთი მარცვლეული, სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება გრძელდება.

სტალინოს ოლქის კოლმეურნეები, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამრეწველო საწარმოთა დამხმარე მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, პარტიის, მთავრობისა და პირადად თქვენი, იოსებ ბესარიონის-ძევ, უდიდესი დახმარების მეოხებით, მტკიცე რწმენით მიდიან იმ ამოცანის სრული გადაჭრისაკენ, რომ დონბასში შეიქმნას საკუთარი სასურსათო ბაზა.

ასრულებენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებას, ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელები ჰქმნიან მომავალ წელს უხვი მოსავლის მიღების მკვიდრ საფუძველს. საშემოდგომო კულტურების თესვის სახელმწიფო გეგმა წელს შესრულებულია ვადაზე 106 პროცენტით, ხორბალი დათესილია მეტი, ვიდრე ომამდელ წლებში, საშემოდგომო ნათესების მდგომარეობა საუკეთესოა.

პირობას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ სტალინოს ოლქის მშრომელები კვლავაც დაუღალავად იბრძოლებენ ოლქის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განვითარებისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

უკრაინის კ. პ. (ბ) სტალინოს საოლქო კომიტეტის მდივანი ა. სტრუევი
საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ნ. მალიშევი

სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული
სტალინოს ოლქში ი. ზიმა

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ასრულებენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებას და ემზადებიან რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ყარაგანდის ოლქის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და დამხმარე მეურნეობებმა 10 ოქტომბერს 101 პროცენტით შეასრულეს 1947 წლის მოსავლის პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა.

წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 721 ათასი ფუთით მეტი მარცვლეული, ვიდრე 1946 წელს. გრძელდება პურის ჩაბარება გეგმის გადამეტებით.

წელს ჩვენი ოლქის კოლმეურნეობებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებაშიც. მეცხოველეობის განვითარების გეგმა შესრულებულია: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 109 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—115 პროცენტით, ღორისა—122 პროცენტით, ცხენისა—105 პროცენტით და აქლემისა—107 პროცენტით.

რძის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, შარშანდელთან შედარებით ჩაბარებულია 44 ათასი ჰექტოლიტრით მეტი რძე.

შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა პირუტყვის გამოზამთრების წარმატებით ჩატარებისათვის, საკვების დაგროვების გეგმა შესრულებულია 119 პროცენტით.

საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 134 პროცენტით.

პირობას გაძლევთ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ყარაგანდის ოლქის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები კვლავაც უფრო მეტი ენერგიით იმუშავებენ ოლქის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ყაზახეთის კ. პ. (ბ) ყარაგანდის საოლქო კომიტეტის მდივანი
აბაბკოვი
საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე სერიკბაევი
სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ყარაგანდის
ოლქში ნაზაროვი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ამხანაგო სტალინ, რომ კურსკის ოლქის ერბო-კარაქის მრეწველობის მუშებმა და სპეციალისტებმა, რომლებმაც სოციალისტური შეჯიბრებით იკისრეს ვალდებულება, რომ ვადამდე — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავისათვის შეასრულებდნენ ერბო-კარაქის წარმოების გეგმას, თავიანთი სიტყვა გაანაღდეს და ამა წლის 10 ოქტომბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულეს წლიური გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 14.450 ფუთით მეტი ერბო-კარაქი, ვიდრე მთელი 1946 წლის განმავლობაში და 6.000 ფუთით მეტი, ვიდრე 1940 წელს.

პირობას გაძლევთ, ამხანაგო სტალინ, რომ ოლქის ერბო-კარაქის მრეწველობა წლის დამლევამდე ჩვენს ქვეყანას დამატებით მისცემს სულ ცოტა 12.000 ფუთ ერბო-კარაქს.

საკავშირო კ. პ. (ბ) კურსკის საოლქო კომიტეტის მდივანი ბოლუბევი
მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის
თავმჯდომარის მოადგილე კუშნარევი
„მასლოპრომის" ტრესტის მმართველი ივანოვი

დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის შესახვედრად

340 ათასი მანეთის პროდუქცია გეგმის გადამეტებით

თვალსაჩინო წარმატებებით ეგებება თბილისის სპილენძსაგლინავი ქარხნის სტახანოვური კოლექტივი დიდი ოქტომბრის XXX წლისთავს. ქარხნის კოლექტივმა 9 თვეში 106,8 პროცენტით გაანაღდა წლიური გეგმა. ამ წარმატებით აღფრთოვანებული კოლექტივი ოქტომბერში სტახანოვურ ვახტზე დადგა და იკისრა 7 ნოემბრისათვის წლიური დავალების გადამეტებით გამოუშვას 340 ათასი მანეთის პროდუქცია.

ქარხნის კოლექტივი წარმატებით ანაღდებს ამ ახალ ვალდებულებასაც. 20 ოქტომბრისათვის მათ უკვე გამოუშვეს 210 ათასი მანეთის პროდუქცია. დიდი ოქტომბრის XXX წლისთავისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე ყოველდღე მრავალი სტახანოველი მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს ავლენენ. სტახანოვურ ვახტზე მდგომი საგლინავი საამქროს მ. ხეფაშვილისა და ნ. შომახიას ბრიგადები დღიურ დავალებას 150 პროცენტით ანაღდებენ.

გალვანურმა საამქრომ, რომელმაც 1 სექტემბერს გაანაღდა წლიური დავალება, მეორე თვეა მომავალი წლის დავალებაზე მუშაობს. ქარხნის საპატიო წიგნში შეტანილი სტახანოველები ი. ქავთაძე, მ. ისრაელიანი, ვ. ბენდიანიშვილი, ვ. ცატუროვი და სხვები დიდი ხანია რაც აგრეთვე ხუთწლედის მესამე წლის დავალებაზე მუშაობენ. დიდ წარმატებას აღწევენ ახალგაზრდა სტახანოველები შ. რუხაძე, გ. მჭედლიშვილი, მ. მიშჩენკო, მ. გურგენიძე, რ. ბენდიანიშვილი და ა. ჯაფარიძე, რომლებიც დღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებენ.

ე. მღებრიშვილი

დღის წესრიგშია ასორტიმენტის გაფართოება

თბილისის ქაღალდის ფაბრიკის კოლექტივმა აგვისტო-სექტემბერში მუშაობა შესამჩნევად გააუმჯობესა და 1 ოქტომბრისათვის 9 თვის საწარმოო გეგმა 114 პროცენტით შეასრულა. მაგრამ ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება. ფაბრიკაში დაბალი საასორტიმენტო მაჩვენებლები აქვთ. სექტემბერშიაც კი, როდესაც ფაბრიკის კოლექტივმა თვიური საწარმოო დავალება 125 პროცენტით გაანაღდა, ასორტიმენტის მიხედვით გეგმა არ შესრულებულა.

ოქტომბრისათვის ფაბრიკის კოლექტივმა მიზნად დაისახა ასორტიმენტის გაფართოება და ამასთან ერთად მუშაობის ტემპის ისე გაძლიერება, რომ 7 ნოემბრისათვის გაანაღდონ ნაკისრი საწარმოო ვალდებულებანი. ამ მიზნით ოქტომბერი ფაბრიკაში გამოცხადებულია სტახანოვური მუშაობის თვედ.

ამჟამად ფაბრიკაში ყველაზე მეტ წარმატებას აღწევს ფართო მოხმარების საამქროს კოლექტივი, რომელმაც 1947 წლის გეგმა უკვე შეასრულა. საამქროში ახლა იბრძვიან გეგმის გადამეტებით 175.000 მანეთის პროდუქციის გამოსაშვებად. წლიური საწარმოო დავალება წარმატებით შეასრულა ნედლეულის დამამზადებელმა ბაზამაც. ამ ბაზის კოლექტივი (უფროსი ს. მამულაშვილი) 7 ნოემბრისათვის სამშობლოს საჩუქრად უმზადებს გეგმის გადამეტებით დამზადებულ ათეულ ტონობით ქაღალდს.

მოწინავე სატრაქტორო ბრიგადები

რაიონში კარგად არის ცნობილი კასპის მტს-ის № 2 და № 4 სატრაქტორო ბრიგადები. მათ გამოცდილი და საქმის მცოდნე ამხანაგები ზ. მამულაშვილი და ს. გურწიშვილი ხელმძღვანელობენ. ისინი ტრაქტორებს კარგად უვლიან და სრული დატვირთვით მუშაობენ.

მეორე სატრაქტორო ბრიგადამ (ხელმძღვანელი ზ. მამულაშვილი) ხვნის წლიური გეგმა 1 ოქტომბრისათვის 105,5 პროცენტით შეასრულა. ნაცვლად 1.298 ჰექტარისა, მოხნა 1.364 ჰექტარი და 416 კილოგრამი საწვავიც დაზოგა. წარმატება მოიპოვეს ამ ბრიგადის ტრაქტორისტებმა მ. კუდუხაშვილმა და ი. ყაზარაშვილმა. პირველმა პირობითი ხვნისა და სხვა სახეების მიხედვით წლიური გეგმა 103,3 პროცენტით შეასრულა და 475 კილოგრამი საწვავი დაზოგა, ხოლო მეორემ—101,2 პროცენტით და 241 კილოგრამი საწვავის ეკონომია გააკეთა.

მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია მეოთხე სატრაქტორო ბრიგადამ (ხელმძღვანელი ს. გურწიშვილი). მან პირობითი ხვნის წლიური გეგმა 109,1 პროცენტით გაანაღდა, დაზოგა 916 კილოგრამი საწვავი. 1.403 ჰექტარის ნაცვლად ბრიგადამ მოხნა 1.530 ჰექტარი. ტრაქტორისტმა გ. ავლოხაშვილმა, რომელიც „ჩტზ" მარკის ტრაქტორზე მუშაობს, 1 ოქტომბრისათვის წლიური გეგმა 115,1 პროცენტით შეასრულა, ხოლო ტრაქტორისტმა გ. გელაშვილმა—123,7 პროცენტით.

მეორე სატრაქტორო ბრიგადა გეგმის გადამეტებით ხნავს და თესავს. მეოთხე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტები სოფელ ლამისყანაში მომუშავე სატრაქტორო ბრიგადას უწევენ დახმარებას.

ვ. ბუზალაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

კაჭრეთის რაიონმა შეასრულა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმა

კაჭრეთელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები. რაიონის კოლმეურნეობებმა 145 პროცენტით შეასრულეს მარცვლეულის დამზადების 1947 წლის გეგმა, მზესუმზირისა—105, კარტოფილის—114, ბოსტნეულის—147, თივის—104, ყურძნისა—166 პროცენტით. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმა. ხორცის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, კარაქისა—118, რძისა—105, ბრინზა ყველისა—111, მატყლისა—101, ტყავნედლეულისა—112 პროცენტით.

საჩხერელ მევენახეთა წარმატება

საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ყურძნის დამზადების 1947 წლის გეგმა 106 პროცენტით შეასრულეს. ნაცვლად 800 ტონისა, დაამზადეს 850 ტონა ყურძენი.

ყურძნის დამზადება გრძელდება.

სამტრედიის საწარმოები ახალი საწარმოო გამარჯვებებით ეგებებიან ოქტომბრის 30-ე წლისთავს. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე ა. ჯანელიძე და თანაშემწე ს. ჯაში, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს 120 ათასი კილომეტრი გაიარონ თავიანთი ორთქლმავლით აწევითი რემონტის მოუხდენლად და უკვე გაიარეს 48 ათასი კილომეტრი; საკონსერვო ქარხნის მოწინავე საამქროში — კომპოტის განყოფილება — მარცხნივ — სტახანოველი თინა ამაღლობელი, რომელიც დავალებებს 160 პროცენტით ასრულებს; აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაში — მარჯვნივ, სტახანოველი ე. კალანდაძე, რომელიც გეგმას 135 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და პრინციპების უხეში დარღვევის წინააღმდეგ

ა. ა. გრომიკოს გამოსვლა პოლიტიკურ კომიტეტში 1947 წლის 17 ოქტომბერს

ნიუ-იორკი, 17 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.). საბჭოთა დელეგაციამ უკვე გამოსთქვა თავისი დამოკიდებულება ამერიკის წინადადებისადმი გენერალური ასამბლეის ეგრეთწოდებული მშვიდობისა და უშიშროების საკითხთა „დროებითი კომიტეტის“ ან, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, „მცირე ასამბლეის“ შექმნის შესახებ. იმ განცხადებებში, რომლებიც საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ გააკეთა ასამბლეის პლენარულ სხდომაზე 18 სექტემბერს და პოლიტიკურ კომიტეტში 14 ოქტომბერს, უკვე აღნიშნული იყო, რომ ეს წინადადება არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა და პრინციპებს. დღეს მე საჭიროდ მიმაჩნია დამატებით გავაშუქო ზოგიერთი საკითხი ჩვენს კომიტეტში უკვე მომხდარი დისკუსიის გათვალისწინებით.

1. ამერიკის დელეგაციის მოსაზრებათა უსაფუძვლობა

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაური მარშალი თავის გამოსვლაში 17 სექტემბერს, როცა ზემოთნახსენები კომიტეტის შექმნის იდეა წამოაყენა, ცდილობდა თავისი პოზიცია იმით დაესაბუთებინა, თითქოს გენერალურ ასამბლეას არ შეუძლია სათანადოდ შეასრულოს თავისი მოვალეობანი ყოველწლიური მორიგი სესიების მოწვევის გზით. ცხადია, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს მხედველობაში ჰქონდა არამარტო რეგულარული ყოველწლიური სესიები, არამედ სპეციალური სესიებიც, რომელთა მოწვევაც წესდების თანახმად შეიძლება საჭირო შემთხვევაში. იგივე აზრები გამოსთქვა დალესმაც თავის განცხადებაში კომიტეტის სხდომაზე 14 ოქტომბერს. მისი გამოსვლა აგრეთვე აღსავსე იყო მტკიცებებით, თითქოს ამერიკის წინადადება მიმართულია გენერალური ასამბლეის ეფექტიანობის გასაძლიერებლად.

ამრიგად, ამერიკის წინადადების ავტორები ემყარებიან სრულიად მცდარ ვარაუდს, თითქოს გენერალურ ასამბლეას არ შეუძლია იმუშაოს რიგიანად, როცა წესდების შესაბამისად მოქმედებს. ასეთი არგუმენტაცია, რა თქმა უნდა, დაუსაბუთებელია და არასგზით არ შეიძლება მას დავეთანხმოთ. იგი, როგორც ჩანს, იმისთვის დასჭირდათ, რათა ჩაგვაგონონ აზრი, რომ ასამბლეა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტიანი ორგანო, თუ იგი შეასრულებს ამერიკის რეცეპტებს, რომლებიც ნამდვილად არა თუ არ აძლიერებენ მას, არამედ, პირიქით, ძირს უთხრიან ორგანიზაციას.

შემდეგ გრომიკომ აღნიშნა, რომ ამერიკის წინადადება არა თუ ხელს არ უწყობს ასამბლეის შესაძლებლობათა განვითარებას, რომლებზეც ამერიკის დელეგაცია ლაპარაკობს, არამედ, პირიქით, აუარესებს ამ შესაძლებლობებს, და ხაზი გაუსვა, რომ ამ წინადადების ავტორები ცდილობენ კომიტეტის შექმნის საკითხი შესცვალონ ასამბლეის მოღვაწეობის გაუმჯობესების საკითხით. მაგრამ ასეთი ცდები შეცდომაში ვერავის შეიყვანენ. მჟღერალა ფრაზებით ასამბლეის მოღვაწეობის გაუმჯობესების შესახებ არ შეიძლება დაიმალოს ამერიკის წინადადების ნამდვილი აზრი. კომიტეტის შექმნის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მოთხოვნასა და ასამბლეის მოღვაწეობის გაუმჯობესებას საერთო არაფერი არა აქვთ.

და მართლაც, ამაზე ხომ არ არის ლაპარაკი ამერიკის წინადადებაში. როგორც სულ უფრო ცხადი ხდება, ამ მიზანს როდი ისახავენ ამ წინადადების შემოტანით, რომელიც მხოლოდ ძირს გამოუთხრიდა გენერალური ასამბლეის მოღვაწეობას და ორგანიზაციას მთლიანად სერიოზულ ზარალს მიაყენებდა. უფრო მეტიც, სსრ კავშირის დელეგაციას მიაჩნია, რომ ასეთი წინადადების მიღება სერიოზულად შებოჭავს როგორც გენერალური ასამბლეის, ისე გაერთიანებული ერების მთელი ორგანიზაციის და, უწინარეს ყოვლისა, უშიშროების საბჭოს მოღვაწეობას, რომელიც ყველაზე უფრო დაზიანდებოდა ამ გადაწყვეტილებით.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სავსებით გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ამერიკის წინადადებით ნავარაუდევია შეიქმნას გაერთიანებული ერების სრულიად ახალი ორგანო, რომელსაც წესდება არ ითვალისწინებს. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წამოყენებულ არავითარ „მცირე ასამბლეას“ წესდება არ ითვალისწინებს. აქედან, უწინარეს ყოვლისა, გამომდინარეობს, რომ შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ წამოყენებული კომიტეტი უკანონო ორგანო იქნებოდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ამას ვერ ხედავდნენ, მაგრამ ისინი ცდილობენ ეს ფაქტი მიჩქმალონ წესდების იმ მუხლების დამოწმებით, რომლებშიც განსაზღვრულია გენერალური ასამბლეის ფუნქციები და ამოცანები. მაგალითად, ამერიკის წინადადება იმოწმებს წესდების მე-13 და მე-14 მუხლებს. მაგრამ ყველა ეს დამოწმება არა თუ არ ამართლებს შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, არამედ, პირიქით, ცხადჰყოფს მისი წინადადების სასარგებლოდ მოყვანილი მთელი არგუმენტაციის უნიადაგობასა და ხელოვნურობას.

მართლაც, რა საფუძვლები არსებობს იმისათვის, რომ განვიხილოთ საკითხი გენერალური ასამბლეის რწმუნებათა შესახებ, როცა ეს რწმუნებანი გარკვეულია წესდებით და კანონს წარმოადგენს მთელი გაერთიანებული ერებისათვის. რასაკვირველია, ამისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

ჩვენ მომხრე ვართ წესდების მეათე, მეთერთმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე მუხლებისა და ყველა სხვა დებულების სრული გამოყენებისა. მაგრამ ჩვენ მომხრე ვართ ამ შესაძლებლობათა კანონიერი გამოყენებისა, რასაც, როგორც ჩანს, ვერ ურიგდებიან ზოგიერთი ქვეყნის დელეგაციები, რომლებისთვისაც ჩვენი ორგანიზაციის წესდება არის მხოლოდ თიხის გუნდა, რასაც შეგიძლია მისცე ყოველგვარი ფორმა იმ ქვეყნების სურვილისამებრ, რომელთაც სხვებზე მეტი შესაძლებლობა აქვთ გაიყოლიონ უმრავლესობა ასამბლეაში. მაგრამ, ბატონებო, დიდი შეცდომა იქნებოდა ასე უბოდიშოთ მოვეპყრობოდით წესდებას. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ეკუთვნიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის ინიციატორთა რიცხვს: თუ ეს სახელმწიფოები პატივს არა სცემენ წესდებას, მაშინ ნება მიბოძეთ ვიკითხო: ვინღა უნდა სცეს მას პატივი უწინარეს ყოვლისა? მაშინ ვისიღა იმედი უნდა იქონიოს ჩვენმა ორგანიზაციამ უწინარეს ყოვლისა? რას გვეტყვის ამ კითხვებზე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია?

2. ნამდვილი აზრი წინადადებისა „დროებითი კომიტეტის“ შექმნის შესახებ

მაშასადამე, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ წესდების შესაბამისი მუხლების დამოწმება და განცხადებანი ასამბლეის მუშაობის გაუმჯობესების სურვილის შესახებ აქ არაფერ შუაშია. საქმე სხვა რამეს ეხება. საქმე ეხება იმას, დავიცავთ თუ არა ჩვენ ყველანი წესდებას და მის პრინციპებს, თუ დავარღვევთ მას, მისი ტექსტის შეცვლის გზით თუ არა, პრაქტიკით მაინც. წესდების ასეთი დარღვევის შედეგი ორივე შემთხვევაში იქნებოდა ორგანიზაციის მოღვაწეობის და თვით მისი არსებობის საფუძვლებისათვის ძირის გამოთხრა.

ამერიკის წინადადება ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების არამარტო დადგენილი სტრუქტურის დარღვევას, არამედ ფაქტიურად სცვლის ამ ორგანოების როლს და მათ შორის ურთიერთობას. მისი მთავარი მანკი ის არის, რომ იგი ითვალისწინებს ისეთი ორგანოს შექმნას, რომელიც უნდა მუშაობდეს იმ საკითხებზე, რომელთა განხილვაც უშიშროების საბჭოს ექვემდებარება. წამოყენებული კომიტეტის ამოცანები, როგორც ისინი განსაზღვრულია ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა გამოსვლებში, აგრეთვე ამერიკის წინადადების ოფიციალურ ტექსტში, — სწორედ ის ამოცანებია, რომლებიც დაკისრებული აქვს უშიშროების საბჭოს, როგორც ორგანოს, რომელსაც მთავარი პასუხისმგებლობა ეწევს საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ეს არის ამოცანები, რომლებიც უშიშროების საბჭოს ეკისრება, კერძოდ, წესდების მეხუთე და მეექვსე თავების და განსაკუთრებით მეექვსე თავის 35-ე, 36-ე, 38-ე მუხლების შესაბამისად, რომლებშიც მკაფიოდ არის მოცემული საბჭოს რწმუნებათა და ამოცანათა განსაზღვრა დავისა და სიტუაციების მშვიდობიანი მოგვარების დარგში.

ამრიგად, გამოდის, რომ წამოყენებული კომიტეტი ფაქტიურად იქნება უშიშროების საბჭოს პარალელური ორგანო, იმ მოვალეობათა შემსრულებელი, რომელთაც საბჭო უნდა ასრულებდეს. რაგინდ უარჰყონ ეს ამერიკის წარმომადგენლებმა, ასეთი დასკვნა უდავოა. ამ დასკვნას მთლიანად ადასტურებს წამოყენებული კომიტეტის ფუნქციების განსაზღვრა, რასაც ამერიკის წინადადება შეიცავს. მას სავსებით ადასტურებს აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის განცხადება პოლიტიკურ კომიტეტში 14 ოქტომბერს.

კომიტეტის ფუნქციების აღწერის სრული გაცნობაც კი არავითარ ეჭვს არ სტოვებს, რომ სწორია საბჭოთა დელეგაციის მიერ გამოტანილი დასკვნა იმის შესახებ, რომ ამ კომიტეტმა ფაქტიურად უნდა შესცვალოს უშიშროების საბჭო. აზრი არა აქვს იმის მტკიცებას, რომ კომიტეტმა მხოლოდ დახმარება უნდა გაუწიოს ასამბლეას. იმის ფორმალური აღიარება, რომ კომიტეტის რეკომენდაციები ასამბლეამ უნდა მოიწონოს, მდგომარეობას არა სცვლის და უკანონო ორგანოს კანონიერ ორგანოდ ვერ გადააქცევს. ასეთი დებულების სისწორეს ადასტურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ კომიტეტს ევალება არა მარტო მოამზადოს რეკომენდაციები, არამედ ჩაატაროს გამოკვლევანი და შეასრულოს მთელი რიგი სხვა ფუნქციები, რომლებიც შეიძლება მას მიენდოს. განა ცხადი არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ წამოყენებული კომიტეტის ფუნქციები ძირითადად გადმოწერილია წესდების იმ მუხლებიდან, რომლებიც უშიშროების საბჭოს ეხებიან?

მითითებანი, რომლებსაც ამერიკის წინადადება შეიცავს, რომ კომიტეტი ყოველთვის გაუწევს ანგარიშს უშიშროების საბჭოს პასუხისმგებლობას, რაც მას წესდებით აკისრია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების დარგში, არის შენიშვნა, რომელიც ეწინააღმდეგება ამერიკის წინადადების აზრს. ეს მითითება ალბათ განკუთვნილია იმისათვის, რომ მიჩქმალოს კომიტეტის შექმნის გამო მთელი ამ ჯახირის ნამდვილი აზრი.

იმის მოხსენიება, რომ კომიტეტი ანგარიშს გაუწევს უშიშროების საბჭოს პასუხისმგებლობას, ლიტონი ფრაზაა. შეიძლება ანგარიში გაუწიო საბჭოს პასუხისმგებლობას და იმავე დროს უგულებელჰყო საბჭო, რასაც სწორედ ესწრაფვიან „მცირე ასამბლეის“ იდეის ავტორები.

შეერთებული შტატების მთავრობა რომ მართლაც ზრუნავდეს იმისათვის, რომ უშიშროების საბჭო ნორმალურად ასრულებდეს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, მაშინ იგი არ შემოიტანდა თავის წინადადებას, რადგან ეს წინადადება მიმართულია საბჭოს მოღვაწეობის და ამით მთლიანად გაერთიანებული ერების ძირის გამოსათხრელად. ამერიკის წინადადება არის ცდა გვერდი აუარონ უშიშროების საბჭოს მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისას, რომლებიც ეხებიან მშვიდობის შენარჩუნებას.

დისკუსიის მსვლელობაში მთელი რიგი დელეგატები სამართლიანად აღნიშნავდნენ იმ გარემოებას, რომ არ შეიძლება ამერიკის წინადადება დასაბუთდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, რომ ამ წინადადების მიღება გაერთიანებული ერების წესდებისა და პრინციპების უხეში დარღვევის მომასწავებელი იქნებოდა. მაგრამ ზოგიერთი ამ დელეგატთაგან, თუმცა ისინი მიხვდნენ ამერიკის ამ წინადადების დაუსაბუთებლობას, მიუხედავად ამისა, ცდილობენ იხსნან ეს წინადადება იმ განცხადებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ წამოყენებულ ორგანოს საკმაოა ეწოდოს არა კომიტეტი, არამედ, მაგალითად, მუდმივად მოქმედი ასამბლეა, და საქმეც კარგად მოგვარდება.

ასეთი დასაბუთებით გამოვიდა, მაგალითად, ბოლივიის წარმომადგენელი, ამავე დროს ბოლივიის წარმომადგენელს რატომღაც ჰგონია, რომ უკანონო ორგანო კანონიერი გახდება, თუ მას კომიტეტს კი არა, მუდმივად მოქმედ ასამბლეას ვუწოდებთ.

ასეთ უცნაურ ლოგიკას, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით. ჩვენ ვერ დავემსგავსებით დიუმას ცნობილ პერსონაჟს, რომელმაც მარხვაში მოისურვა ქათმის ჭამა, მაგრამ გადასწყვიტა თავი ცოდვისაგან იმით დაეხსნა, რომ ჯვარი გადასახა ქათამს და თევზი უწოდა მას. ჩვენ ვამჯობინებდით ასეთი საზეიმო მღვდელთმსახურება არ მოგვეხდინა გენერალურ ასამბლეაზე. ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ არა აზრას, არა სახელს, რომელიც შეიძლება ეწოდოს ამერიკის წინადადებით გათვალისწინებულ ორგანოს, არამედ საქმის არსს, იმას, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ეს ორგანო. რაც უნდა ვუწოდოთ მას, ეს ორგანო მოწოდებულია იმისათვის, რომ გვერდი აუარონ უშიშროების საბჭოს, უგულებელჰყონ იგი.

გენერალური ასამბლეა, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანო, თავის ფუნქციებს ახორციელებს მხოლოდ სესიების პერიოდში. ეს არის მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი სპეციფიკური თვისება, მაგალითად, უშიშროების საბჭოს მოღვაწეობისაგან განსხვავებით, რომელიც მუდმივად მოქმედი ორგანოა. მე მსურს რამდენადმე მოვაგონო დელეგატებს ჩვენი ორგანიზაციის შექმნის ისტორია. ცნობილია, რომ ყველა ძირითადი საკითხი, რომლებიც ეხებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნას, პირველად იყო გულდასმით განხილული კონფერენციაზე დუმბარტონ-ოქსში, რომელშიც მე ვმონაწილეობდი როგორც სსრ კავშირის წარმომადგენელი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების სტრუქტურის, ისე როგორც მათი ფუნქციების საკითხის განხილვისას, კონფერენციის ყველა მონაწილე დასთანხმდა იმას, რომ გენერალური ასამბლეა მოწვეულ უნდა იქნას პერიოდულად და თავისი ფუნქციები უნდა შეასრულოს რეგულარულ ან სპეციალურ სესიებზე.

ამრიგად, კონფერენციის მონაწილეები მივიდნენ ერთსულოვან გადაწყვეტილებამდე გენერალური ასამბლეის მოღვაწეობის ხასიათისა და ამ მოღვაწეობის ფორმების შესახებ. ამ შეთანხმებას პირდაპირი კავშირი აქვს კონფერენციაზე მიღწეულ მეორე მნიშვნელოვან შეთანხმებასთან, სახელდობრ, რომ უშიშროების საბჭო უნდა იყოს მუდმივად მოქმედი ორგანო. საბჭოს ფუნქციებისა და მოღვაწეობის ფორმების სწორედ ასეთი განსაზღვრის აუცილებლობა იქიდან გამომდინარეობდა, რომ მას აკისრია მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ყველა იმის თანახმა იყო, რომ უშიშროების საბჭოს მხოლოდ მაშინ შეუძლია ეფექტიანად შეასრულოს თავისი ამოცანები, როცა იგი თავის დროზე და ოპერატიულად იმოქმედებს დავის ან ისეთი სიტუაციების წარმოშობის შემთხვევაში, რომლებიც მის ჩარევას მოითხოვენ.

3. რატომ ცდილობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დაარღვიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება

მაშასადამე, ორი გადაწყვეტილება, რომლებიც კონფერენციამ მიიღო დუმბარტონ-ოქსში მუდმივად მოქმედი ორგანოს შექმნის შესახებ, როგორიცაა უშიშროების საბჭო, და სესიების მოწვევის გზით პერიოდულად მოქმედი ორგანოს შექმნის შესახებ, როგორიცაა გენერალური ასამბლეა, მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთი მეორეს ურთიერთ განმარტავს. ამ კონფერენციის მონაწილეთაგან სურვილიც კი არავის გამოუთქვამს, რომ უშიშროების საბჭოსთან ერთად მუდამ მოქმედებდეს სხვა ორგანო, რომელიც იმავე საკითხებზე იმუშავებს, რომლებზეც საბჭო უნდა მუშაობდეს. სამწუხაროდ, ასამბლეაში ამერიკის დელეგაციის შემადგენლობაში ერთიც არ არის დუმბარტონ-ოქსის კონფერენციის მონაწილეთაგანი. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა დელეგაციას ყველა საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ამერიკის წარმომადგენლები ამ კონფერენციაზე გამოხატავდნენ შეერთებული შტატების მთავრობის თვალსაზრისს. ჩვენთვის მნიშვნელობა ცალკე პირების აზრს კი არა აქვს, არამედ ქვეყნის, მისი მთავრობის პოლიტიკას.

ჩვენ ვიცით, რომ დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზე მიღებული ყველა ძირითადი რეკომენდაცია მოიწონა სანფრანცისკოს კონფერენციამ და ისინი საფუძვლად დაედო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მომზადებას. ეს განსაკუთრებით ეხება იმ დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების სტრუქტურასა და ამ ორგანოების ფუნქციებს.

ამჟამად შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს ყველაფერი ყირაზე დააყენოს, ცდილობს შეამციროს უშიშროების საბჭოს მნიშვნელობა განსაკუთრებული არაკონსტიტუციური და უკანონო ორგანოს შექმნის ხარჯზე. შეერთებული შტატების მთავრობის ასეთი მოქმედება აშკარად ეწინააღმდეგება არამარტო წესდებას, რაც საბჭოთა დელეგაციამ უკვე აღნიშნა, არამედ იმ პოზიციასაც, რომელიც შეერთებულ შტატებს ეკავათ მთელი მოლაპარაკების განმავლობაში, რომელიც წინ უძღოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნას და ეხებოდა მის შექმნას, ისე როგორც წესდების საბოლოო მომზადების დროს.

უნებურად იბადება კითხვა, რით აიხსნება ის ფაქტი, რომ შეერთებული შტატების მთავრობა ასეთ გზას დაადგა? საბჭოთა დელეგაციის აზრით, ეს შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, რომ უშიშროების საბჭოში არსებული მდგომარეობა შემავიწროებელია შეერთებული შტატებისათვის. იგი სავსებით როდია მათთვის ხელსაყრელი. საბჭოში მოქმედებს ხუთი დიდი სახელმწიფოს — საბჭოს მუდმივი წევრების ერთხმივობის პრინციპი. ამ პრინციპმა, როგორც გამოცდილებამ ცხადჰყო, შეერთებულ შტატებს არ მისცა შესაძლებლობა უშიშროების საბჭო თავის მორჩილ იარაღად გადაექციათ და თავისი შეხედულებისამებრ გამოეყენებინათ იგი. ამ ფაქტის უარყოფას საბჭოთა დელეგაცია არ აპირებს.

მაგრამ ჩვენ, ისე როგორც მთლიანად ჩვენი ორგანიზაცია, ჩვენს მოქმედებაში ვერ ვიხელმძღვანელებთ იმით, რომ ამა თუ იმ ქვეყნისათვის სავსებით როდია ხელსაყრელი ხუთი სახელმწიფოს ერთხმივობის პრინციპი ან უშიშროების საბჭოში მისი გამოყენების პრაქტიკა. ჩვენ ვერ ვიხელმძღვანელებთ იმით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ მოსწონთ ისეთი მდგომარეობა, როცა ამერიკის წინადადებებს ზოგჯერ არ იღებენ საბჭოში მათდამი სსრ კავშირის მხრივ უარყოფითი დამოკიდებულების გამო. ყოველი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას უნდა დავადგეთ ჩვენი საერთო ინტერესებისა და არა რომელიმე ერთი ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის ინტერესების თვალსაზრისს. ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ გაერთიანებული ერების ძირითადი პრინციპებით და არა ერთი ან ორი სახელმწიფოს ეგოისტური ანგარიშებით, მით უმეტეს, რომ ამ ანგარიშებს, როგორც გამოცდილება ცხადჰყოფს, საზღვარი არ გააჩნია.

შეერთებული შტატების მთავრობას უშიშროების საბჭოში მართლაც შემოჰქონდა მთელი რიგი დაუსაბუთებელი და სრულიად გაუმართლებელი წინადადებანი, კერძოდ საბერძნეთის საკითხზე. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი უშიშროების საბჭოში მართლაც ხელს უშლიდა ყოველგვარ ცდას საბჭო გადაექციათ ამერიკის მორჩილ იარაღად, რომლის შემწეობითაც ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლებოდათ ეკარნახათ თავის ნება სხვა ქვეყნებისათვის და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირისათვის, მათ შორის საბერძნეთის საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ, როცა საბჭოთა კავშირი ასე მოქმედებდა, იგი იმას ემყარებოდა, რომ მის მიერ დაკავებული პოზიცია შეეფერება ყველა გაერთიანებული ერის ინტერესებს და, უწინარეს ყოვლისა, იმ მცირე ქვეყნების ინტერესებს, რომელთა სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას ზოგიერთი დელეგაცია მოძველებულ ცნებებად სთვლის. ამერიკის წინადადებათა აზრი „მცირე ასამბლეის“ შექმნის შესახებ შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების საერთო საგარეო პოლიტიკის მიხედვით, რომელიც არა თუ ხელს უწყობს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის განმტკიცებას, არამედ, პირიქით, ძირს უთხრის ამ თანამშრომლობას, ძირს უთხრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, სულ უფრო შორს მიაქანებს მას უფსკრულისაკენ, საიდანაც შეიძლება იგი ვეღარც ამოვიდეს.

ამერიკის წინადადება ნაკარნახევია ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფებით იბატონოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, დაეყრდნოს მორჩილ უმრავლესობას, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, წარმოდგენილია იმ ქვეყნებით, რომლებიც ხელ-ფეხიანად მიბმული არიან შეერთებულ შტატებზე პოლიტიკური და ეკონომიური მხრივ.

ასეთი დასკვნის სისწორე უფრო ცხადი გახდება, თუ ამ წინადადებას განვიხილავთ ამერიკის მეორე წინადადებასთან დაკავშირებით, რომელიც უშიშროების საბჭოში შემოტანილ იქნა საბჭოს მუდმივი წევრების ერთხმივობის პრინციპის შეზღუდვის შესახებ.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როგორც ვხედავთ, ფართო ფრონტით დაიწყეს შეტევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა და პრინციპებზე. ზოგ შემთხვევაში ისინი პირდაპირ და აშკარად მოქმედებენ, არ მალავენ, რომ სურთ შებოჭონ უშიშროების საბჭო პრაქტიკაში ეგრეთწოდებული ვეტოს გამოყენების სფეროს შ ზღუდვის გზით. ზოგ შემთხვევებ ისინი მოქმედებენ შემოვლითი გზი როგორც, მაგალითად, ამ შემთხვევა „მცირე ასამბლეის“ შექმნის წინადადებასთან დაკავშირებით. მაგრამ, საშუ ლებათა სხვადასხვაობის მიუხედავა ეს მოქმედება დიდს და შესაძლებელი გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ჩვენ ორგანიზაციას.

თუმცა იქ, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებ სავსებით არ გამოსთქვამენ აზრს მთლად არ ამბობენ იმას, რის თქმა უნდათ, მათს დასახმარებლად გამო დიან ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციები. ყური დაუგდეთ ავსტრალიის და თურქეთის წარმომადგენლებს მათს განმარტებას, თუ რატომ უჭერ ისინი მხარს ამერიკის წინადადებას, თქვენ ეჭვი აღარ გექნებათ იმის შესახებ, თუ რა სურთ ამერიკის წინადადე ბის დამცველებს, ამ წინადადების ა ტორებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ. მა სურთ ეს ნაბიჯიც გამოიყენონ იმისათვის, რომ თავს დაესხან ეგრეთწოდებულ ვეტოს. ისინი არ მალავენ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატების წინადადების აზრი სწორე ის არის, რომ გვერდი აუარონ უში როების საბჭოს, სადაც ხუთი სახელმ წიფოს ერთხმივობის პრინციპი მოქმედებს.

4. განსახილველი საკითხის პრინციპული მნიშვნელობა

საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ განსახილველ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს. საქმე ეხება იმას, დარჩება ჩვენი ორგანიზაცია ერთიანი თუ არა, დაემყარება წესდებასა და მასში გამოთქმულ მაღალ პრინციპებს, თუ იგი გათიშულ იქნება ნაწილებად, ბლოკებად, აქედან გამომდინარე მთელი შედეგებიანად ამ ორგანიზაციის ჩარჩოებში საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. ამ ძირითად საკითხს ჩვენ ვერსად ვერ გავექცევით. სწორედ ეს საკითხია დასმული ჩვენს წინაშე ამერიკის წინადადების შემოტანით. ეს წინადადება, რაც უნდა ცდილობდნენ მის გამართლებას ავტორები და დამცველები, ორგანიზაციის სწორედ ასეთი გათიშვის გაღრმავებას იწვევს. ცხადია, ყოველივე ამან არ შეიძლება არ წააქეზოს აშკარა რეაქციონერები, ომის გამჩაღებლები, რომლებიც უკვე კმაყოფილებით იფშვნეტენ ხელებს იმ ხმაურთან დაკავშირებით, რაც ეგრეთწოდებული „მცირე ასამბლეის“ შექმნის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ შემოტანილი წინადადების გარშემო ატყდა. ეს ადამიანები არ მალავენ, რომ შეერთებული შტატების წინადადების მიღება არის ორგანიზაციის დარღვევისაკენ გადადგმული ნაბიჯი, რასაც ისინი მოუთმენლად ელოდებიან, რა კი იმედი აქვთ, რომ ეს გარემოება უფრო გაუხსნის მათ ხელს მათი დანაშაულებრივი გეგმების განხორციელებაში. თვითონ განსაჯეთ, ხელსაყრელია თუ არა ასეთი მდგომარეობა იმათთვის, ვინც ნამდვილ მზრუნველობას იჩენს საერთაშორისო მშვიდობის შესანარჩუნებლად.

ამერიკის დელეგაცია ცდილობს თავისი წინადადება მისაღები გახადოს ტექსტის იმ ნაწილიდან ზოგიერთი სიტყვის ამოშლით, რომელიც მის მიერ წამოყენებული კომიტეტის ფუნქციების განსაზღვრას შეიცავს. მაგალითად, ფიქრობენ, რაკი მოხსენიებული არ არის ის გარემოება, რომ კომიტეტმა უნდა იმუშაოს უშიშროების საკითხებზე, ეს წინადადება ზოგიერთი დელეგაციისათვის უფრო მისაღები გახდება. შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ მთელი ეს სარედაქციო ცვლილებანი არ სცვლიან საქმის არსს, რადგან ამერიკის წინადადების ხასიათი იგივე რჩება.

პოლიტიკურად ბეცი უნდა იყო, რათა ვერ შეამჩნიო, რომ ამერიკის წინადადება ეგრეთწოდებული „მცირე ასამბლეის“ შექმნის შესახებ ეხმაურება შეერთებული შტატების მთავრობის მიერ გადადგმულ ზოგიერთ სხვა ნაბიჯს. ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ „მცირე ასამბლეის“ შექმნის შესახებ ამერიკის წინადადების აზრი იგივეა, რაც ეგრეთწოდებული მარშალის გეგმის ან ტრუმენის დოქტრინის აზრი. მთელი ეს „გეგმები“, „დოქტრინები“ და სხვა იწვევენ სწორედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თანამშრომლობისათვის ძირის გამოთხრას და, უწინარეს ყოვლისა, იმ დიდ სახელმწიფოთა თანამშრომლობის ძირის გამოთხრას, რომელთაც აკისრიათ მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნებისათვის. ეს არის ამერიკის წინადადების ძირითადი მანკი. ეს არის ამ წინადადების მთავარი საფრთხე ჩვენი ორგანიზაციისათვის.

საბჭოთა დელეგაციას სურს ყველა სხვა დელეგაციის ყურადღება მიაპყროს ამ საფრთხეს და იმედს გამოსთქვამს, რომ ვიდრე ესა თუ ის დელეგაცია საბოლოოდ გამოარკვევდეს თავის დამოკიდებულებას ამერიკის ამ წინადადებისადმი, უაღრესი გულდასმით ასწონ-დასწონის ყველა გარემოებას და განსაკუთრებით იმ შედეგებს, რომლებსაც ასეთი წინადადების მიღება გამოიწვევდა. ჩვენ ამ წინადადების ნამდვილ აზრს უნდა ჩამოვაშოროთ სიტყვიერი ჩენჩო და ფერადი ფრაზე ლოგია, რომლითაც ამერიკის წინად დების ავტორები და დამცველები ცდ ლობენ თავიანთი განზრახვა მიჩქმალონ ჩვენ დღეს მოვისმინეთ დიდი ბრიტან თის წარმომადგენლის შოუკროსის გა ცხადება. იგი ცდილობდა გაემართლე ბინა მის მიერ შემოტანილი ინგლისი წინადადება, რომელიც, აქვე უნდა ით ქვას, არსებითად არაფრით არ განსხვ ვდება ამერიკის დელეგაციის წინადადებისაგან. ამ განცხადებასთან დაკა შირებით უნდა ვთქვა, რომ საბჭოთ დელეგაციას არ ეშინოდა და არ ეშ ნია, წინააღმდეგ ბ-ნ შოუკროსი მტკიცებისა, მსჯელობა იქონიოს ყო ველ საკითხზე, რომლებიც განხილულ უნდა იქნან გენერალურ ასამბლეაშ ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რომელიმე სხვა ორგანოში. პ რიქით, საბჭოთა დელეგაციას შეუძლი დაასახელოს მრავალი მაგალითი, რო ასეთი საკითხების განხილვის წინააღმ დეგ აზრს გამოსთქვამდნენ სხვა დელ გაციები, უწინარეს ყოვლისა, დიდ ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებ ლი შტატების დელეგაციები.

მე კომიტეტის წევრებს დროს არ წავართმევ ასეთი მაგალითების ჩამო ვლით. გავახსენებთ მხოლოდ ერ ფაქტს, რომელიც ყოველ ჩვენგან კარგად ახსოვს. საბერძნეთის საკითხი განხილვისადმი მიძღვნილ პირველსავე სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტ ტების დელეგაცია დიდი ბრიტანეთი დელეგაციის მხარდაჭერით შეეცად შეეკვეცა მისთვის არახელსაყრელ დაწყებული დისკუსია. მხოლოდ სს კავშირის დელეგაციისა და ზოგიერთ სხვა დელეგაციის მტკიცე პოზიცი მეოხებით ეს ცდა თავიდან აშორებულ იქნა. დისკუსია გაგრძელდა.

რამდენიმე სიტყვა ამერიკის პროექ ტის განსახილველად ქვეკომიტეტის სარედაქციო კომიტეტის შექმნის წინ დადებათა შესახებ. ასეთი წინადადებ ნი აქ შემოჰქონდათ ზოგიერთ ქვეყნ დელეგატებს, კერძოდ ავსტრალიი დელეგატს. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია გადაჭრით გამო სთქვამს აზრს უკანონო, დაუსაბუთ ბელი და სრულიად გაუმართლე ბელი ამერიკული პროექტის წინააღ დეგ, რომელიც იწვევს საერთაშორის თანამშრომლობისათვის ძირის გამოთ რას და დიდ ზიანს აყენებს მთლიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. საბჭოთა დელეგაცია ამ პროექტ უარჰყოფს პრინციპულად, დამოუკ დებლად იმისა, თუ რა ფორმით შემო ვთავაზებენ შესაბამის წინადადება საბჭოთა დელეგაცია არ ეთანხმება რ ზოლუციის არც ამერიკულ პროექტ და არც სხვა რომელიმე პროექტ რომელიც შემოგვთავაზებს იმავ იდეას, თუნდაც შეცვლილი ფორმით.

ისინი, ვინც წინადადებას იძლევა შ იქმნას სარედაქციო კომიტეტი ამერ კის წინადადების დასაზუსტებლად, ალ ბათ, ჰგულისხმობენ ამ საკითხში კომ პრომისის მიღწევის შესაძლებლობას მაგრამ ასეთი წინადადებანი მცდარი იმ უკანონო ორგანოს შექმნის საკით ხის განხილვისას, რომელიც მოწოდე ბულია შესცვალოს უშიშროების სა ჭო, საბჭოთა დელეგაციას ლექსიკონ ში არ მოეპოვება და არც შეიძლე მოეპოვებოდეს სიტყვა „კომპრომისი ჩვენ ძირითადად და პრინციპულა უარვყოფთ წინადადებას ასეთი ორგა ნოს შექმნის შესახებ. ამიტომ სარე დაქციო კომიტეტის მუშაობას არ შე ძლია შეთანხმება გამოიწვიოს. ასეთ კომიტეტი რომ შექმნილიყო, ეს მხო ლოდ უნაყოფოდ დროის დაკარგვას გა მოიწვევდა, ეს იქნებოდა მომასწავე ბელი ახალი ნაბიჯის გადადგმისა თა ნამშრომლობის პრინციპისათვის ძირის გამოსათხრელად და, მაშასადამე, თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციი სათვის ძირის გამოსათხრელად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესია

როგორ უთხრის ძირს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია საერთაშორისო თანამშრომლობას

კამათის დამთავრება „დროებითი კომიტეტის“ ამერიკული პროექტის გამო

ნიუ-იორკი, 18 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.) დღეს პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა საერთო კამათი რეზოლუციის ამერიკული პროექტის გამო ეგრეთწოდებული „დროებითი კომიტეტის“ შექმნის შესახებ, რომელიც, პროექტის ავტორთა ჩანაფიქრით, მოწოდებულია შესცვალოს უშიშროების საბჭო.

საჭიროა აღინიშნოს ამერიკული პროექტის შესწორებების დიდი რაოდენობა, რაც შემოიტანეს და კვლავ შემოაქვთ სხვადასხვა დელეგაციებს. დამახასიათებელია, რომ ყველა შესწორება შემოაქვთ არა ამერიკული პროექტის მოწინააღმდეგეებს, არამედ მომხრეებს. გარდა რეზოლუციის ინგლისური პროექტისა და ბოლივიის შესწორებებისა, რაც გუშინ იქნა შემოტანილი, დღევანდელი დღის განმავლობაში ამერიკული პროექტის შესწორებები შემოიტანეს კანადისა და არგენტინის დელეგაციებმა. ყველა ეს მრავალრიცხოვანი დოკუმენტები არ განსხვავდება ამერიკული პროექტისაგან, არამედ მხოლოდ ავსებს და ავითარებს მას. როგორც ჩანს, ყველა ამ შესწორებათა და დამატებათა მთელი ამ გროვის ნამდვილი აზრი ის არის, რომ გაართულონ, არივ-დარიონ საკითხი და ხელსაყრელი პირობები შექმნან ამერიკული წინადადების ამათუიმ სახით მიღებისათვის.

დღევანდელ სხდომაზე გაჩაღდა მორიგ გამოსვლათა სერია ამერიკული პროექტის დასაცავად. ამ აზრით კანადის დელეგატმა ილაპარაკა, რომ დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის წესი უშიშროების საბჭოში „საშინელი დაბრკოლებაა“ და ამასთან დაკავშირებით მოუწოდა შექმნან „თავდაცვის მეორე ხაზი“. უფრო გულახდილად გამოვიდა კუბის დელეგატი, რომელმაც არაორაზროვნად მოუწოდა დელეგატებს გადაეღიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების რევიზიაზე მთლიანად. ამერიკული პროექტის სასარგებლოდ აზრი გამოსთქვეს აგრეთვე კოსტა-რიკისა და პაკისტანის წარმომადგენლებმა.

ამასთან ერთად, ზოგიერთმა დელეგატმა ვერ დაფარა თავისი აღშფოთება ამერიკული პროექტის აშკარა უკანონობის გამო. ჰაიტის დელეგატმა, რომელიც პრინციპულად დაეთანხმა ამერიკულ წინადადებას, მაინც ურჩია დამსწრეთ, რომ ეს წინადადება გადაეცეს იურიდიულ კომიტეტს „დროებითი კომიტეტის“ პროექტის კანონიერების განხილვის მიზნით. მექსიკის დელეგატმა, რომელიც პრინციპულად აგრეთვე შეუერთდა ამერიკულ პროექტს, წინადადება წამოაყენა შეიზღუდოს დროებითი კომიტეტის უფლება, კერძოდ ჩამოერთვას მას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოთათვის რეკომენდაციების მიცემის უფლება, აგრეთვე გამოკვლევის ჩატარების უფლება.

მანუილსკის გამოსვლა

უკრაინის დელეგაციის მეთაურმა მანუილსკიმ თავისი სიტყვის დასაწყისში აღნიშნა, რომ მარშალის წინადადებამ გენერალური ასამბლეის მუდმივი სასესიათაშორისო კომიტეტის შექმნის შესახებ, სასწაულებრივი გარდაქმნები განიცადა, რაც იმას მოწმობს, რომ ეს საკითხი არ ყოფილა მოფიქრებული მისი ინიციატორების მიერ, ანდა საჭირო გახდა ფარული დიპლომატიური მანევრები, რათა ეხსნათ იგი აშკარა მარცხისაგან. ჯერ ამ კომიტეტის შესახებ ლაპარაკობდნენ, როგორც მშვიდობისა და უშიშროების საკითხების მუდმივმოქმედ ორგანოზე, რომელსაც ექნებოდა კომპეტენცია განეხილა, ისევე როგორც უშიშროების საბჭოს, სიტუაციები და დავა, რომლებიც ზიანს აყენებენ ხალხთა მეგობრულ ურთიერთობას. შემდეგ იგი გადაიქცა დროებით კომიტეტად, რომლის სახელწოდებიდან გაქრა სიტყვები „მშვიდობა და უშიშროება“, ასევე გაქრა ფუნქციები, რომ მას განეხილა დავა სახელმწიფოებს შორის, რაც, წესდების თანახმად, უშიშროების საბჭოს პრეროგატივაა. ამერიკული პროექტის გულმოდგინე მომხრეებმა დროებითი კომიტეტი დაგვიხატეს რაღაც ღამის ყარაულთა დამატებით ბრიგადად, რომლებიც ფხიზლობენ, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იძინება, ან რაღაც პოლიტიკურ რეფერენტთა უწყინარ განყოფილებად, რომელიც ამზადებს საკითხებს გენერალური ასამბლეის წევრებისათვის, მაგრამ ავსტრალიის დელეგატმა ევატმა და თურქეთის დელეგატმა სარპერმა საქებარი გულახდილობით თქვეს ის, რაც არ უთქვამს დალესს.

ევატი ცნობილია, როგორც ისეთი ადამიანი, რომელსაც შეუწყნარებელი იერიშები მიაქვს უშიშროების საბჭოში დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპზე, შენიშნა მანუილსკიმ. ამ პრინციპის წინააღმდეგ ბრძოლამ მასში მომაბეზრებელი იდეის ფორმა მიიღო. ცნობილია, რომ მომაბეზრებელი იდეები ჯერ ართობს გარშემო მყოფთ, შემდეგ რამდენიმე აბეზრებს, ხოლო შემდეგ თავისი ერთფეროვნებით ისეთ მოწყენილობას ჰგვრის, რომელიც მოქმედებს უძილობისმქონე ადამიანებზე, როგორც ყოველთვის პატენტიანი ამერიკული საშუალება.

ევატმა და სარპერმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ ამერიკულ წინადადებას არის, იმიტომ, რომ იგი შესაძლებელს ხდის გვერდი აუარონ დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპს, ესე იგი, არსებითად რევიზია უყონ წესდების 27-ე მუხლს. ამას მოჰყვა ბოლივიის წინადადება, რომელიც რჩევას იძლევა ასამბლეის ახლანდელი სესია ორ ნაწილად გაიყოს და პოლიტიკური კომიტეტი გადაიქცეს ამ „დამხმარე ორგანოდ“, რომელიც მოყვანილია ამერიკულ წინადადებაში, მთელი იმ ფუნქციებით, რომლებსაც ეს წინადადება აკისრებს საერთაშორისო კომიტეტს. დასასრულ, შემოიტანეს მრავალი შესწორება, ამასთან თითქმის ყველა გამსვლელი აღნიშნავდა, რომ მათ ესა თუ ის შენიშვნა აქვთ ამერიკული პროექტისადმი.

ასეთია ამერიკული წინადადების მომხრეთა დაუსრულებელი მერყეობა, რაც ცხადყოფს, რომ რამდენად არ სჯერათ თავიანთი თავის მათ, ვისაც სურს, რაც უნდა დაჯდეს, შესცვალონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. მაგრამ როგორი სხვადასხვაობაც უნდა იყოს მათი წინადადებანი ფორმით, არსით ერთია. იცავენ ისინი დროებით თუ მუდმივ კომიტეტს, გვთავაზობენ მას როგორც რეფერენტს, ხდიან პირველ კომიტეტს რაღაც ხანგრძლივ პარლამენტად, რომელსაც ექნება გენერალური ასამბლეის რწმუნებანი და ფუნქციები, ყოველივე ამაში ერთი აზრია — შესცვალონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, რომ ინგლის-ამერიკულმა ბლოკმა უპასუხისმგებლოდ უკარნახოს 57 ერს პოლიტიკური მოქმედების ხაზი.

57 ერის წარმომადგენელთაგან შემდგარი კომიტეტი, რომელსაც იგივე უფლებები და მოვალეობები აქვს, რაც გენერალურ ასამბლეას, უშიშროების საბჭოს კომპეტენციის სფეროში შეჭრის უფლება, — ეს დამხმარე ორგანო როდია. მას გენერალური ასამბლეის წინაშე ის უპირატესობა აქვს, რომ სხდომები ექნება განუწყვეტლივ, მაშინ როცა ასამბლეა შეიკრიბება წელიწადში ერთხელ თვენახევრით. იბადება კანონიერი შიში, ასეთ მდგომარეობაში ხომ არ გადაიქცევა გენერალური ასამბლეა ამ ეგრეთწოდებული დროებითი კომიტეტის დამხმარე ორგანოდ? და ხომ არ აყენებენ ამ კომიტეტს, რომელსაც მუდმივი ხასიათი ექნება, ამ მწკრივში უშიშროების საბჭოსთან? ვინ იფიქრებდა ამ ერთი თვის წინათ, როცა ყალიბდებოდა ჩვენი უბრალო პოლიტიკური კომიტეტი, რომ მას, როგორც ნაპოლეონის ჯარისკაცს, თავის ჩანთაში ექნებოდა კვერთხი მარშლისა, რომელიც თითქმის მბრძანებლობს უშიშროების საბჭოში? მანუილსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წესდება არავითარ საფუძველს არ იძლევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოთა წამოყენებული რადიკალური სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებისათვის, და განაგრძო:

— ყოველ ქვეყანაში, სადაც შეეცდებოდნენ მოურიდებლად შეეცვალათ სახელმწიფოს კონსტიტუცია, ამგვარი მოქმედება პროტესტს გამოიწვევდა. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფოების ინტერესები და სადაც საჭიროა განსაკუთრებით ფრთხილი მოპყრობა ამ სახელმწიფოთა თანამშრომლობის დაწესებულ საკონსტიტუციო ნორმებთან, სადაც უფლება გულისხმობს არა ცალკე პირების, არამედ მთელი სახელმწიფოების უფლებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონსტიტუციას ისე ეპყრობიან, როგორც წაკითხულ გაზეთს ან შესახვევ ქაღალდს. შეიძლება ამ პარალელის განგრძობა. განა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ქვეყანაში მოეთხოვათ, რამდენადაც პარლამენტში არის უმრავლესობა და უმცირესობა, და რამდენადაც პარლამენტი მუშაობს მხოლოდ სესიის დროს, შეექმნათ ამ ქვეყნის ყველა საარჩევნო ოლქის წარმომადგენელთა დამხმარე ორგანო დეპუტატთა რიცხვის შესაბამისად, ორგანო, რომელსაც იგივე რწმუნებები ექნებოდა, რაც პარლამენტს, და უფლება ექნებოდა ყოველდღიურად ჩარეულიყო აღმასრულებელ ხელისუფალთა ფუნქციებში? ეჭვი არ არის, რომ ასეთი წინადადების ავტორს ფსიქიატრიულ ექსპერტიზას მოუწყობდნენ.

როგორ შეიძლება ასეთი წინადადების სერიოზულად შეტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა უხერხულ და სასაცილო მდგომარეობაში აყენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ასეთ წინადადებათა ავტორები? მაგრამ „გაჭირვებამ კანონები არ იცის“, როგორც ამბობდნენ გერმანელები 1914 წელს, როცა ბელგიის ნეიტრალიტეტს არღვევდნენ. ამერიკის შეერთებული შტატების გაბატონებული წრეები კანონებზე მაშინ ლაპარაკობენ, როცა ეს მათთვის ხელსაყრელია, და არღვევენ კანონებს, როცა ეს მათ სჭირდებათ. ისინი არღვევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და არაფრად აგდებენ, რომ ასეთი მოქმედებით ძირს უთხრიან ორგანიზაციის თვით არსებობას. ამ თავის დამანგრეველ მუშაობას ისინი ფარავენ ხმაურით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კრიზისის შესახებ და აშკარა ყალბი განცხადებებით იმის შესახებ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მცირე ეფექტიანობაში დამნაშავეა სსრ კავშირი, რომელიც იყენებს წესდების 27-ე მუხლს, რათა „აწყენინოს“ უმწეო ამერიკელებსა და ინგლისელებს, რომლებსაც ხმების უმრავლესობა მოეპოვებათ უშიშროების საბჭოში.

მანუილსკიმ დამსწრეთ მოაგონა, რომ სსრ კავშირის წარმომადგენელმა რამდენჯერმე მისცა ხმა საბჭოში ინგლის-ამერიკული უმრავლესობის წინააღმდეგ. და სთქვა:

— იქნებ, ეს იყო საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო სსრ კავშირის რაიმე იმპერიალისტურ მისწრაფებასთან? იქნებ, საქმე ეხებოდა სამხედრო ბაზების შექმნას, რომლებიც ემუქრებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის უშიშროებას? იქნებ სსრ კავშირს სურდა ხელთ ეგდო რაიმე კოლონიები? რასაკვირველია, არა. ყველა შემთხვევაში სსრ კავშირი ხმას აძლევდა არა იმ საკითხებზე, რომლებიც ლახავდნენ მის, როგორც დიდი სახელმწიფოს ინტერესებს, არამედ ისეთ საკითხებზე, რომლებიც ლახავდნენ მცირე სახელმწიფოთა ინტერესებსაც. იგი გამოდიოდა მცირე ერების უფლებათა დასაცავად სირიასა და ლიბანში ინგლის-ამერიკული ჯარების ყოფნის საკითხზე და მტკიცედ მოითხოვდა ამ ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას ამ ორი ქვეყნიდან. ამიტომ ხომ არ გამოდის ლიბანის წარმომადგენელი ახლა დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპის წინააღმდეგ? ორჯერ, 1946 წლის აპრილსა და ივნისში, სსრ კავშირმა ხმა მისცა ინგლის-ამერიკული უმრავლესობის წინააღმდეგ ესპანეთის საკითხზე, და, მის მოწინააღმდეგეთა განსხვავებით, არავითარი მატერიალური სარგებლობა არ მიუღია ესპანეთის სპილენძის საბადოებიდან, არამედ მხოლოდ იცავდა ფრანკოს მიერ გაჩანაგებული ესპანელი ხალხის დემოკრატიულ უფლებებს. ხუთჯერ იმავე მოტივებით სსრ კავშირის დელეგატმა ხმა მისცა ინგლის-ამერიკული უმრავლესობის წინააღმდეგ საბერძნეთის საკითხზე. მას პრეტენზიები არ ჰქონია საბერძნეთის ბაზებზე და არსენალებზე, არამედ მხოლოდ ცდილობდა, რომ ეს ქვეყანა არ ყოფილიყო იარაღი უცხო სახელმწიფოთა ხელში და საფრთხე მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბალკანეთში. ექვსჯერ სსრ კავშირმა ხმა მისცა ინგლის-ამერიკული უმრავლესობის წინააღმდეგ ახალ წევრთა მიღების საკითხზე, და აქაც იცავდა მცირე ხალხთა უფლებებს და გამოდიოდა ალბანეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და სხვა სახელმწიფოების დისკრიმინაციის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელთა პოლიტიკური რეჟიმი არ მოსწონდათ სიტისა თუ უოლ-სტრიტის საქმიან წრეებს. დასასრულ, საბჭოთა კავშირი გამოდიოდა იმის წინააღმდეგ, რომ დაესაჯათ მცირე ალბანელი ხალხი დაუსაბუთებელი და დაუმტკიცებელი ბრალდების გამო, თითქოს ალბანელებმა ნაღმებზე ააფეთქეს ინგლისური ხომალდები. აი ყველა საკითხი, რომლებზეც სსრ კავშირი არ ეთანხმებოდა უმრავლესობას უშიშროების საბჭოში. და ყოველივე ამის შემდეგ ევატს ჰყოფნის გამბედაობა თავი წარმოგვიდგინოს, როგორც მცირე ერების ჩემპიონმა. არა, ევატი იცავს არა მცირე ერებს, არამედ ზოგიერთი დიდი სახელმწიფოს უაღრესად რეაქციული ელემენტების ინტერესებს. ამ ელემენტების ინტერესებისათვის მას და მის ზურგსუკან მდგომთ სურთ წესდების რევიზია, და ამერიკულ წინადადებას იყენებენ, როგორც საფარს ასეთი რევიზიისათვის. და თუ ნამდვილად არსებობს გაერთიანებული ერების კრიზისი, იგი იმაში მდგომარეობს, რომ როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემადგენლობაში, ისე მის გარეთ, არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც წესდებას ათამაშებენ ისევე დაუბრკოლებლად და დაუსჯელად, როგორც გერმანის ყბადაღებული კანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი ათამაშებდა ხელშეკრულებებს და მათ ფარატინა ქაღალდს უწოდებდა. წესდების დარღვევის თვით ასეთი ცდების წარმოშობა მოწმობს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარშემო შეიქმნა ისეთი პოლიტიკური ატმოსფერო, რომელშიც წესდების დარღვევა წესად გადაიქცა, ხოლო მისი დაცვა გამონაკლისი ხდება.

მანუილსკიმ დამსწრეთ მოაგონა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სცხოვრობს ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის ვითარებაში, რაც მის ფარგლებს გარეთ იწარმოება, მაგრამ თავის გამოხატულებას ჰპოულობს მასში, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია იდგეს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე, უფლებამოსილია არა მარტო თვალყური ადევნოს თავისი წევრების მოქმედებას, არამედ მოითხოვოს კიდეც, რომ ეს მოქმედება შეესაბამებოდეს წესდების პრინციპებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოვალეობაა მოითხოვოს, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობა შენდებოდეს წესდებით აღიარებული ხალხთა თანასწორობისა და მათი სუვერენიტეტის პატივისცემის საფუძველზე და არა მსოფლიო ბატონობისადმი ერთი სახელმწიფოს მისწრაფების საფუძველზე. მისი მოვალეობაა მოითხოვოს რომ დადებული ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი სრულდებოდეს, როგორც ამას წესდება მოითხოვს და არ იქნას ცალმხრივად გადასინჯული ამათუიმ სახელმწიფოს მიერ. მისი მოვალეობაა მოითხოვოს, რომ მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის ისეთი საშიში დოქტრინები, როგორიც არის პრეზიდენტ ტრუმენის დოქტრინა, კარადაში იყოს ჩაკეტილი და არ ხორციელდებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უკანწინ, რომ ისეთი ღონისძიებანი, როგორიც მარშალის გეგმაა, ტარდებოდეს არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გვერდის ავლით, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლით, რათა უზრუნველყოფილ იქნას ღონისძიებანი შეერთებული შტატებისათვის გაჩანაგებული ევროპული სახელმწიფოების ეკონომიური დამორჩილების წინააღმდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოვალეობა მოითხოვს გენერალური ასამბლეის მიერ 1946 წლის 14 დეკემბერს მიღებული რეკომენდაციის განხორციელება შეიარაღების შემცირების შესახებ, და არა ის, რომ პონტოელი პილატეს მსგავსად ხელი დაიბანოს, როცა შემცირების ნაცვლად ხდება შეიარაღების გადიდების შეჯიბრება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოვალეობაა წესრიგისაკენ მოუწოდოს იმ სახელმწიფოებს, რომლებშიც ომის აღვირახსნილ პროპაგანდას ეწევიან, ვინაიდან, თუ ამას არ გააკეთებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უარს იტყვის თავის ძირითად მიზნებსა და ამოცანებზე, გააძლიერებს გარშემო არსებულ უკანონობის ატმოსფეროს, რამაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რაც ასე აწუხებს მშვიდობის ყველა მეგობარს სხვადასხვა ქვეყანაში.

მანუილსკიმ განაცხადა, რომ მას არ შეუძლია თვალი დახუჭოს ისეთ გამოსვლებზე, როგორიც არის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ბირნსის გამოსვლა, რომელმაც ახლახან გამოაქვეყნა წიგნი „გულახდილად რომ ვილაპარაკოთ“, რომელიც შეიცავს მოწოდებას სსრ კავშირის წინააღმდეგ ომისადმი. თუ ვილაპარაკებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „კრიზისზე, სთქვა შემდეგ მანუილსკიმ, ის უნდა მივაწეროთ, ჯერ ერთი წესდების სისტემატურ დარღვევას, მეორე, ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფებას გადააქციოს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისი საგარეო პოლიტიკის იარაღად, მესამე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ომის ფსიქოზის ხელოვნურ შექმნას. მაგრამ ჩვენ გვთავაზობენ ამ კრიზისს ვუმკურნალოთ წესდების ახალი დარღვევით — ისეთი ორგანოს შექმნით, რომელიც დაეხმარება ინგლის-ამერიკულ ბლოკს, კიდევ უფრო მტკიცედ ჩაიგდოს ხელში გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და შესაძლებლობას მისცემს ომის გამჩაღებლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ, კიდევ უფრო მაღლა ასწიონ თავი. ჩვენ ამას ვერ გავაკეთებთ.

მანუილსკი შეეხო ბრიტანეთის დელეგატის შოუკროსის გუშინდელ გამოსვლას და სთქვა:

— შოუკროსი მოგვიწოდებდა გამოგვეჩინა თანამშრომლობის სულისკვეთება. მაგრამ სად არის ეს თანამშრომლობის სულისკვეთება დიდი ბრიტანეთის მთავრობის მოქმედებაში? გერმანიასთან და იაპონიასთან საზავო ხელშეკრულებების დადების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმ წინასწარ მოლაპარაკებაში ხომ არა, რომელსაც შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკებს გვთავაზობენ, როგორც მზა გადაწყვეტილებებს და რომლებსაც მოსდევს ბირნსის მუქარა, რაც, აქვე რომ ვთქვათ, არავის არ აშინებს, არამედ მხოლოდ ამჟღავნებს თვით ომის გამჩაღებლებს? იმაში ხომ არა, რომ რურის პრობლემას ინგლის-ამერიკული კარტელები თავისებურად სწყვეტენ, და სრულიად უგულებელჰყოფენ ევროპის ხალხთა ინტერესებს? იმაში ხომ არა, რომ დიდი ბრიტანეთი გულმოდგინედ ცდილობს შეაკოწიწოს დასავლეთის ბლოკი სსრ კავშირისა და სლავური სახელმწიფოების წინააღმდეგ? იმაში ხომ არა, რომ ამ ასამბლეაზე დიდი ბრიტანეთის დელეგაცია იცავს ომის პირწავარდნილ გამჩაღებლებს? იმაში ხომ არა, რომ ამ ასამბლეაზე დიდი ბრიტანეთის დელეგაცია, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციასთან ერთად, გამოდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოებიდან სლავური სახელმწიფოების გამოყვანის ორგანიზატორად?

ამის შემდეგ შოუკროსის მოწოდება თანამშრომლობისაკენ დაცინვად გაისმის. ეს არის, არც მეტი არც ნაკლები, ლონდონის ნისლი, რომლითაც სურთ დაფარონ საბჭოთა რესპუბლიკებისადმი და მათი მეგობარი სლავური სახელმწიფოებისადმი მტრული პოლიტიკა.

შოუკროსი აქ გვაძლევდა გონიერებისა და ზომიერების რჩევას, — შენიშნა მანუილსკიმ, — ჩვენ მადლობელი ვართ მისი რჩევისათვის, მაგრამ ეს რჩევა ზედმეტად მიგვაჩნია. სწორედ იმიტომ, რომ გონიერნი ვართ, ჩვენ ვცდილობთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გამოვიდეს ბარბაროსული სამხედრო პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელიც სწამლავს სახელმწიფოების ურთიერთობას და რომელიც ისეთივე დანაშაულია, როგორც გერმანელ ფაშისტთა სამხედრო პროპაგანდა ომის წინ. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ შოუკროსი, რომელმაც ნიურნბერგის პროცესზე დაინახა და იცის, თუ რა შედეგები მოსდევს ამგვარ პროპაგანდას, არა მარტო არაგონივრულად იქცევა, არამედ შეურაცხყოფს ადამიანის გონებასა და სინდისს, როცა ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ეს პროპაგანდა საშიშროებას არ წარმოადგენს.

დასასრულ მანუილსკიმ სთქვა:

— ჩვენ არ ვაყენებთ არავითარ უკიდურეს მოთხოვნებს, ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ ერთს — წესდების და მხოლოდ წესდების დაცვას. წესდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობის ძირითადი კანონია. არავის არა აქვს უფლება თავისი თავი კანონს ზევით დააყენოს. ვინც თავს კანონს ზევით აყენებს, ის კანონს თვითნებობით სცვლის, ხოლო თვითნებობა დიქტატის პოლიტიკის ძირითადი ნაწილია. ჩვენ კი გვსურს, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობა აგებულ იქნას გაერთიანებული ერების მიერ დაწესებულ კანონზე და არა დიქტატის პოლიტიკაზე. თუ ზოგიერთი აქ გამოსული ორატორი ლაპარაკობდა წინადადებაზე — დარღვეულ იქნას 57 სახელმწიფოს მიერ დაწესებული და მიღებული კანონი, როგორც „კონსტრუქციულ“ წინადადებაზე, მაშინ, შეიძლება ვიკითხოთ, გაუძლებს თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ასეთ „კონსტრუქციულ“ წინადადებათა ტვირთს. ხომ არ შეეკითხება თავის თავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალი თვითეული ამ 57 სახელმწიფოთაგანი, რატომ უნდა შეასრულოს მან წესდება, როცა ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფო იძლევა მისი დარღვევის მაგალითს? თუ კანონის წინაშე ირღვევა საყოველთაო თანასწორობის პრინციპი, მაშინ იმარჯვებს უკანონობა — მაშინ ყველას აქვს კანონის დარღვევის თანაბარი უფლება. მაგრამ ასეთი მდგომარეობა გამოიწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინგლის-ამერიკული ბლოკის მიერ გამოწვეული კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავებას, რასაც აუცილებლად მოჰყვება ორგანიზაციის დაღუპვა.

ვინაიდან უკრაინის სს რესპუბლიკის დელეგაციას ეს არ სურს, იგი ხმას მისცემს „დროებითი კომიტეტის“ შექმნის შესახებ წამოყენებული რეზოლუციების წინააღმდეგ, როგორც ანტიკონსტიტუციური ხასიათის წინადადების წინააღმდეგ. ამავე მოსაზრებით მას საჭიროდ არ მიაჩნია რაიმე ქვეკომიტეტის შექმნა, რომელიც იმუშავებს ანტიკონსტიტუციურ საქმეებზე.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია უარყოფს თეირანის, იალტისა და პოტსდამის შეთანხმებებს

კამათის პროცესში გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი დალესი. მან თავისი სიტყვა უმთავრესად მიაძღვნა საბჭოთა დელეგაციის მეთაურ ა. ი. ვიშინსკის სიტყვასთან პოლემიკას. დალესი ჯამბაზურად ატრიალებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მუხლებს და ცდილობდა ისეთი რამ დაემტკიცებინა, რის დამტკიცებაც არ შეიძლება, სახელდობრ, დაემტკიცებინა ის, რომ ამერიკის პროექტი წესდებას არ ეწინააღმდეგება.

დალესი ამტკიცებდა, რომ გათვალისწინებული „დროებითი კომიტეტი“ არ იქნება უშიშროების საბჭოსათვის კონკურენციის გამწევი ორგანო. შეეხო რა ჩეხოსლოვაკიის დელეგატის განცხადებას, რომ „დროებითი კომიტეტი“ თავდაყირა დააყენებს გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოს შორის წესდებით შექმნილ წონასწორობას, დალესმა განაცხადა: „ასეთი წონასწორობა არ შეიძლება იყოს არც წესდებაში, არც ბუნებაში. თუ ადამიანს დაბადებით წართმეული აქვს ცალი ხელი და იგი მხოლოდ მეორე ხელით მოქმედებს, ეს მეორე ხელი ვითარდება და უფრო ძლიერი ხდება. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში“. ეს საეჭვო შედარება დალესს იმისათვის დასჭირდა, რომ გაემეორებინა გაცვეთილი მტკიცება, თითქოს უშიშროების საბჭო ამჟამად პარალიზებულია.

ამერიკის დელეგატმა გაილაშქრა კამათის დროს არაერთხელ მოყვანილი იმ არგუმენტის წინააღმდეგ, რომ „დროებითი კომიტეტი“ მაინც შეუძლებელი იქნება დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობაში და დააბრკოლებს საერთაშორისო თანამშრომლობას. ამასთან დაკავშირებით მან კრიტიკული მოსაზრება გამოსთქვა თეირანში, იალტასა და პოტსდამში მიღწეულ სამი სახელმწიფოს შეთანხმებათა შესახებ. დალესი გადავიდა დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მომზადების საკითხზე და ამპარტავნულად შენიშნა: „დუმბარტონ-ოქსში მე რომ ვყოფილიყავი, ვეცდებოდი რამდენადმე შემეცვალა იქ ატმოსფერო“.

დალესი ცილისმწამებლურად ამტკიცებდა, რომ თეირანში, იალტასა და პოტსდამში მიღებულ იქნა მხოლოდ დიდ სახელმწიფოთა სასარგებლო და მცირე ერების ინტერესთა დამრღვევი გადაწყვეტილებანი. „საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირზე სახელმწიფო მდივანმა მარშალმა სთქვა, იალტისაკენ უკანდახევა აღარ მოხდებაო, — სთქვა დალესმა, — მის შემდეგ მე ვიმეორებ — აღარ მოხდება უკანდახევა თეირანისა, იალტისა და პოტსდამისაკენ“.

ამრიგად, დალესმა უარჰყო საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც გამოცხადებულ იქნა თეირანში, იალტასა და პოტსდამში, და თავისი სიტყვა იმით დაამთავრა, რომ მოუწოდა დამსწრეთ განსაკუთრებულ ქვეკომიტეტს გადასცენ „დროებითი კომიტეტის“ შექმნის ამერიკული პროექტი და მის შესასწორებლად და შესაცვლელად წამოყენებული ყველა წინადადება.

გრომიკოს სიტყვა

საბჭოთა დელეგატმა გრომიკომ შეაჯამა ამერიკის წინადადების განხილვის შედეგები და აღნიშნა, რომ ბევრ დელეგაციას შეუძლებლად მიაჩნია ამ წინადადების დასაბუთება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პოზიციებიდან. მაგრამ ამ უდავო ფაქტიდან ყველას როდი გამოაქვს ერთნაირი დასკვნა. სსრ კავშირის დელეგაციას და მთელ რიგ სხვა დელეგაციებს მიაჩნიათ, რომ ამერიკის წინადადება უარყოფილ უნდა იქნას როგორც წესდების პრინციპების საწინააღმდეგო. ზოგიერთი სხვა დელეგაციები, კერძოდ საფრანგეთის, ჩინეთის, ბოლივიისა და ლიბანის დელეგაციები, რომლებმაც ორჭოფული პოზიცია დაიკავეს, თანახმა არიან იმისა, რომ ამერიკის წინადადება ეწინააღმდეგება წესდებას, მაგრამ პრინციპულად არ ილაშქრებენ მის წინააღმდეგ. რამდენადმე განსაკუთრებული პოზიცია დაიკავა ინგლისის დელეგაციამ, მაგრამ ამას შემდეგ შევეხებით.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია, ლოგიკისა და აშკარა ფაქტების წინააღმდეგ, კიდევ ცდილობს ამტკიცოს, რომ მისი წინადადებანი წესდებას არ ეწინააღმდეგებიან, მაგრამ მას არ შეუძლია დაასაბუთოს ეს მტკიცებანი არც იურიდიული და არც სხვა არგუმენტებით, რამდენადაც ამერიკის წინადადების საფუძვლად უდევს იდეა, რომელიც აღმაშფოთებლად ეწინააღმდეგება წესდების პრინციპებს.

გენერალური ასამბლეის ეგრეთ წოდებული დროებითი კომიტეტი მოწოდებულია შესცვალოს უშიშროების საბჭო. სწორედ ეს არის საკითხის არსი. თუ დისკუსიის დასაწყისში კიდევ შეიძლებოდა ეჭვი ყოფილიყო ამ მხრივ, ახლა, ამერიკის წინადადების მომხრეთა მთელი რიგი აშკარა გამოსვლების შემდეგ, ყოველივე ეჭვი ამ მხრივ უკუგდებულ უნდა იქნას. საბჭოთა დელეგაცია სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ეს წინადადება იწვევს გაერთიანებულ ერებს შორის განხეთქილების გაღრმავებას. ამის უარყოფა ვერავინ შესძლო.

მე საიდუმლოებას როდი გამოვამჟღავნებ, განაცხადა გრომიკომ, თუ ვიტყვი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სათანადო ერთიანობა არც ამჟამად არის. მაგრამ ამერიკის წინადადების მიღება მდგომარეობას გააუარესებდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში უმრავლესობას, რომელიც ბრმად ემორჩილება ამერიკის შეერთებულ შტატებს, აღარ დასჭირდებოდა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე ექმნა შეთანხმებანი ყველა დიდ სახელმწიფოთა შორის და ამრიგად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრთა შორის. ჩვენ სწორედ იმიტომ გამოვდივართ ამერიკის წინადადების წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ერთიანობა გვსურს და იმ აზრისა ვართ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ამ ერთიანობის მისაღწევად ყველა შესაძლებლობა არ ამოუწურავს. თუ სურვილი არსებობს, სრული შესაძლებლობაა, რომ გაერთიანებულმა ერებმა ითანამშრომლონ მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

შეეხო რა ზოგიერთი დელეგატის განცხადებას, თითქოს უშიშროების საბჭოში ერთხმივობის მიღწევა სსრ კავშირის მიზეზით გახდა შეუძლებელი, ვინაიდან მან „ვეტოს“ გამოყენებით თითქოს შებოჭა საბჭოს საქმიანობა, საბჭოთა დელეგატმა მოიყვანა ფაქტები, რომლებიც აბათილებენ ამ უპასუხისმგებლო მტკიცებას. მან მოაგონა სხდომას, რომ საბჭოთა კავშირმა უშიშროების საბჭოში ხმა მისცა ინგლის-ამერიკული უმრავლესობის წინააღმდეგ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა უცხოეთის ჯარების გაყვანა სირიიდან და ლიბანიდან, ესპანეთში ფრანკისტული რეჟიმისადმი დამოკიდებულების საკითხი, კორფუს სრუტეში მომხდარი ინციდენტის საკითხი, საბერძნეთის საკითხი. ყველა ამ შემთხვევაში სსრ კავშირი მოქმედებდა არა თავისი ეგოისტური ინტერესებისათვის, არამედ მცირე ქვეყნებისა და ხალხების ინტერესებისათვის, მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის, გაერთიანებული ერების ინტერესებისათვის. მეორე მხრივ უშიშროების საბჭოს ინგლის-ამერიკულმა უმრავლესობამ ნამდვილად შებოჭა საბჭოს მუშაობა უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

ვის მიუძღვის ბრალი იმაში, რომ უშიშროების საბჭომ ვერ გადასწყვიტა ეგვიპტიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის საკითხი? — იკითხა გრომიკომ, — ბრალი მიუძღვით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა ჩაეშალათ ამ საკითხის ჯეროვანი გადაწყვეტა. ვის მიუძღვის ბრალი იმაში, რომ ინდონეზიაში შექმნილი მდგომარეობის საკითხი ვერა და ვერ გადაწყდა უშიშროების საბჭოში? ყველამ იცის, რომ ჰოლანდია აგრესიის გზას დაადგა ინდონეზიის მიმართ და ომს აწარმოებს ინდონეზიელი ხალხის წინააღმდეგ, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელნი ცდილობენ ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი განიხილონ, როგორც რუტინული, საპროცედურო საკითხი. და როცა სსრ კავშირის და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელნი აცხადებენ, რომ ჰოლანდიამ აგრესიის აქტი ჩაიდინა, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი პროტესტს აცხადებს — როგორ ბედავს საბჭოთა კავშირი „ერთ მხარეს“ დასდოს ბრალიო. შეერთებული შტატების წარმომადგენელს სურს, რომ ბრალდება ერთსა და იმავე დროს წარედგინოს აგრესორსაც და მის მსხვერპლსაც. ზოგჯერ ამბობენ, უშიშროების საბჭოსა და ზოგიერთ სხვა ორგანოში ობსტრუქცია ხდებაო. აი იმის მაგალითები, თუ როგორ აწყობენ ობსტრუქციებს გარკვეულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები. შეიძლება სთქვან, რომ ეს ობსტრუქცია არ არის, ვინაიდან უმრავლესობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მხარეზეა. ეს მართალია. მაგრამ ეს მხოლოდ ხაზგასმით აღნიშნავს იმ მდგომარეობის სერიოზულობას, რომელიც მართლაც უმნიშვნელოვანეს საკითხთა განხილვისას იქმნება.

ვეტო, რომელსაც ზოგიერთ შემთხვევაში საბჭოთა კავშირი იყენებს, ის ჯებირია, რაც თავიდან გვაშორებს ისეთ გადაწყვეტილებათა მიღებას, რომლებიც დიდ ზიანს მიაყენებდნენ საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეს, მით უმეტეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მბრძანებლური როლის დაკავების პრეტენზიებს უკან ისეთი მადა იმალება, რომელსაც ჭეშმარიტად არა აქვს საზღვარი. აი რატომ არის, რომ შეერთებული შტატები ამჟამად მოითხოვენ ისეთი ორგანოს შექმნას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გვერდი აუარონ უშიშროების საბჭოს, სადაც დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის წესი მოქმედებს. ასეთ ორგანოში ამერიკის შეერთებული შტატები შესძლებდნენ მათთვის სასურველი ყოველგვარი გადაწყვეტილებების გაყვანას, იმ ქვეყნების ხმების გამოყენებით, რომლებიც პოლიტიკურად და ეკონომიურად დამოკიდებული არიან მათგან.

გადავიდა რა გადაწყვეტილების იმ პროექტზე, რომელიც შოუკროსმა წამოაყენა, გრომიკომ ცხადჰყო, რომ ეს პროექტი, რომელსაც ამერიკის დელეგაცია ცდილობს კომპრომისის სახე მისცეს, ნამდვილად ზოგ მხრივ კიდევ უფრო შორს მიდის იმ გზაზე, რომ უშიშროების საბჭო ახალი ორგანოთი შეიცვალოს. ამერიკის პროექტი ითვალისწინებს, რომ დროებითმა კომიტეტმა მხოლოდ ისეთი სიტუაციები უნდა განიხილოს, რომლებიც მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს შეეხება. ბრიტანეთის პროექტში კი ლაპარაკია სახელმწიფოთა შორის დავის განხილვაზე. ამრიგად, ეს პროექტი პირდაპირ იჭრება უშიშროების საბჭოს ძირითადი ამოცანების სფეროში.

საბჭოთა დელეგატმა მოაგონა სხდომას, რომ დისკუსიის პროცესში ეგრეთწოდებული დროებითი კომისიის საკითხს უკავშირებდნენ სხვა მნიშვნელოვან საკითხს — ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის საკითხს. ყველას როდი სურს ილაპარაკოს ამ საკითხთა ორგანულ კავშირზე, მაგრამ ბევრი იძულებულია, ნებით თუ უნებლიეთ, შეეხოს ამ კავშირს, ვინაიდან დროებითი კომიტეტის შექმნის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არსებულ ტენდენციათა საკითხია, მაგრამ ზოგიერთი დელეგატი ამ საკითხს თავისებურად განმარტავს.

უცნაური მოსასმენი იყო კანადის დელეგატისა და ბრიტანეთის დელეგატ შოუკროსის გამოსვლები, სთქვა გრომიკომ, მათ არ მოსწონთ საბჭოთა დელეგაციის გამოსვლა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. თქვენ შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ ცალკეულ პირთა წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს, თუმცა ვერ შესძლებთ უარჰყოთ, რომ ომის ისეთი გამჩაღებლები, როგორიცაა ერლე და სხვები, არსებობენ. მით უმეტეს არაფერი გეთქმით იმის საწინააღმდეგოდ, რომ საჭიროა ბრძოლა ომის პროპაგანდის წინააღმდეგ, თუ არა გსურთ ახალი ომი, თუ გსურთ ნამდვილად იბრძოლოთ მშვიდობისათვის.

დასასრულ გრომიკო შეჩერდა დალესის ცდაზე — უარეყო საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპები, რომლებიც შემუშავებულ იქნა თეირანის, იალტისა და პოტსდამის ისტორიულ თათბირებზე, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები, რომლებიც შემუშავდა დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზე.

— დალესმა განაცხადა, თითქოს დუმბარტონ-ოქსში ყველაფერი რიგზე ვერ იყო, ვინაიდან, იგი იქ არ დასწრებია, — სთქვა საბჭოთა დელეგატმა. — მე მადლობელი ვარ დალესისა ასეთი გულახდილობისათვის და პირდაპირ ვიტყვი: თუ გავითვალისწინებთ მის პოზიციას და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ახლანდელ პოზიციას, ცუდად როდი მომხდარა, რომ დალესი და ამერიკის მთავრობის ახლანდელი გეზის გამომხატველი სხვა პირები დუმბარტონ-ოქსში არ ყოფილან. თუ დალესის მსჯელობის ხაზს განვაგრძობთ, უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ იგი და ისინი, ვინც ინსტრუქციებს აძლევს ამერიკის დელეგაციას გენერალურ ასამბლეაზე, ემიჯნებიან იმ პოლიტიკას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის პერიოდში ადგნენ. ამ დასკვნას დალესის ის განცხადებაც ადასტურებს, რომ თეირანისა და იალტის კონფერენციებმა თითქოს ზიანი მიაყენეს საერთაშორისო თანამშრომლობას. ეს განცხადება ფრიად სიმპტომატურია. იგი საფუძველს იძლევა გავაკეთოთ დასკვნა, რომ დალესი და ისინი, ვინც მის ზურგს უკან დგას, ემიჯნებიან იმ პოლიტიკას, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები თეირანისა და იალტის კონფერენციის პერიოდში ადგნენ. განა მტკიცება ესაჭიროება იმას, რომ სწორედ ეს პერიოდი ყველაზე ნაყოფიერი იყო საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში? განა მტკიცება ესაჭიროება იმას, რომ თეირანსა და იალტაში ჩამოყალიბებულმა პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო, დააჩქარა საერთო მტერზე გამარჯვება?

საბჭოთა დელეგაცია გადაჭრით გამოდის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ჩაშალონ საერთაშორისო თანამშრომლობა, იმ ცდების წინააღმდეგ, რომლებსაც მიმართავენ ისინი, ვისთვისაც ეს თანამშრომლობა დამამძიმებელი გახდა, ხოლო ერთხმივობის პრინციპი—შემავიწროებელი. სწორედ ამიტომ საბჭოთა დელეგაცია კვლავ აცხადებს, რომ ამერიკის წინადადება მავნეა და რომ მისი მიღება გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

გრომიკომ განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია კვლავაც განუხრელად განაგრძობს ბრძოლას საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერები ერთი ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის ცალმხრივი დიქტატის ორგანოდ გადააქციონ. ამიტომ საბჭოთა დელეგაცია გადაჭრით წინააღმდეგია ამერიკის წინადადებისა „დროებითი კომიტეტის“ შექმნის შესახებ და წინააღმდეგია ამის ანალოგიური ყველა სხვა წინადადებისა. ამავე მიზეზით საბჭოთა დელეგაცია იმის წინააღმდეგია, რომ შეიქმნას ქვეკომიტეტი ამ წინადადებათა განსახილველად და სარედაქციოდ.

სხდომის დასასრულ კენჭი უყარეს ავსტრალიის წინადადებას, რომ შეიქმნას ქვეკომიტეტი ამერიკის პროექტის, მის შესწორებათა და ამ საკითხზე შემოსულ სხვა წინადადებათა განსახილველად. კენჭისყრის წინ სსრ კავშირის, იუგოსლავიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უკრაინისა და ბელორუსიის დელეგატებმა უარი განაცხადეს მეხუთე ქვეკომიტეტის შემადგენლობაში მონაწილეობაზე, ვინაიდან იგი იქნება იმ პროექტების სარედაქციოდ, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას ეწინააღმდეგებიან. წინადადება ქვეკომიტეტის შექმნის შესახებ მიღებულ იქნა 38 ხმით (ოთხმა თავი შეიკავა). 15 დელეგაციამ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

შემდეგ თავმჯდომარემ წინადადება წამოაყენა შეყვანილ იქნან ქვეკომიტეტის შემადგენლობაში 15 ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის. სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა ქვეკომიტეტის მუშაობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ზემოაღნიშნული მოსაზრებით. ქვეკომიტეტის წევრთა სია დამტკიცებულია ხმის იმავე უმრავლესობით, როგორც გადაწყვეტილება მისი შექმნის შესახებ.

ამრიგად, კომიტეტის ინგლის-ამერიკულმა უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელსაც არ შეიძლება შეთანხმება მოჰყვეს, ვინაიდან თვით ამერიკის წინადადება გათვალისწინებულია არა შეთანხმების მისაღწევად, არამედ, პირიქით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დასასუსტებლად, სათითაოდ და მისთვის ძირის გამოსათხრელად.

აზიისა და შორეული აღმოსავლეთის კოლონიური ხალხების ინტერესთა დასაცავად

ნიუ-იორკი, 18 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.) ეკონომიური და ფინანსური საკითხთა № 2 კომიტეტი ორი დღის განმავლობაში განიხილავდა საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილ რეზოლუციას, რომელიც ეხება აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის შემადგენლობასა და მუშაობის პროგრამას.

ამ კომისიის შემადგენლობაში ამჟამად 10 ქვეყანა შედის (სსრ კავშირი, ავსტრალია, ჩინეთი, ინდოეთი, ჰოლანდია, ფილიპინები, სიამი, ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი). ამ ქვეყნების ნაწილი შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები როდია. საბჭოთა დელეგაცია ითვალისწინებს აზიისა და შორეული აღმოსავლეთის მოსახლეობის კანონიერ ინტერესს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ რეგიონალური ეკონომიური ორგანოს მუშაობისადმი და რეზოლუციის თავის პროექტში ითვალისწინებდა კომისიის შემადგენლობის შევსებას აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა იმ წევრით, რომლებიც არსებულ რეგიონალურ ეკონომიურ კომისიებში არ შედიან. რეზოლუცია ამ რაიონის არათვითმმართველ ტერიტორიებს (კოლონიებს) უფლებას აძლევდა მონაწილეობა მიეღოთ კომისიის მუშაობაში როგორც მის წევრ-კორესპონდენტებს. რეზოლუცია კოლონიებისათვის უზრუნველჰყოფდა უფლებას კომისიისათვის მიემართათ

(დასასრული მე-4 გვერდზე)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესია

(დასასრული)

არა მათი მმართველი ქვეყნების მეშვეობით, არამედ უშუალოდ.

ამ წინადადების განხილვისას კოლონიური სახელმწიფოები ცდილობდნენ შეეცვალათ დისკუსია და იგი საკითხის ფორმალურ-საპროცედურო მხარის განხილვისაკენ მიემართათ. ამ გზით მათ სურდათ დაებრკოლებინათ კოლონიების დამოუკიდებელი გამოსვლა საერთაშორისო ასპარეზზე.

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა თავის არაერთგზის გამოსვლაში განაცხადა, რომ კოლონიებს შეუძლიათ საერთაშორისო ორგანოებთან მოლაპარაკება აწარმოონ მხოლოდ მათი მმართველი სახელმწიფოების მეშვეობით. იგი იმოწმებდა დიდი ბრიტანეთის „კონსტიტუციურ პროცედურებს" და ყოველნაირად იცავდა თავის კოლონიზატორულ თვალსაზრისს. ინგლისის წარმომადგენელს უმალვე მიემხრო ჰოლანდიის დელეგატი. იგი აჯერებდა კომიტეტის წევრებს, რომ ინდონეზიის 70-მილიონიან ხალხს შეიძლება ნება დაერთოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ორგანოებში მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ „გარდამავალი პერიოდის" დამთავრების შემდეგ. როგორც სხვა დელეგატები სამართლიანად აღნიშნავდნენ, ჰოლანდიის წარმომადგენელს ასეთ „გარდამავალ პერიოდად", როგორც ჩანს, მიაჩნია ომი ინდონეზიის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რისთვისაც ჰოლანდია ამჟამად მოწვეულია პასუხი აგოს უშიშროების საბჭოს წინაშე.

ინგლისის წარმომადგენლის არგუმენტების დასაცავად გამოვიდა აგრეთვე საფრანგეთის დელეგატი. მან ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია ომი, რომელიც ამჟამად ინდო-ჩინეთში სწარმოებს, და ყოველნაირად ასხამდა ქებადიდებას საფრანგეთის კოლონიურ პოლიტიკას. საფრანგეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლონიური ქვეყნების მოწვევა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად თითქოს „კოლონიურ სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩარევას" წარმოადგენს. მან სთქვა, რომ ხმას მისცემს საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ. ასეთმა განცხადებებმა მთელი რიგი დელეგაციების სერიოზული კრიტიკა გამოიწვიეს. ინდოეთის დელეგატმა პროტესტი განაცხადა იმ ცდის წინააღმდეგ, რომ იზოლირებულ იქნას ვიეტნამისა და ინდონეზიის რესპუბლიკის ათობით მილიონი მოსახლეობა, იყოლიონ იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური ორგანოს საქმიანობის სფეროს გარეშე. მან განაცხადა, რომ ხმას მისცემს საბჭოთა წინადადებებს.

იუგოსლავიის დელეგაცია იცავდა კოლონიების უფლებას, რაც შეიძლება მალე გადავიდნენ თვითმმართველობაზე.

საბჭოთა დელეგატმა არუთინიანმა აღნიშნა, რომ არ შეიძლება გამართლებულ იქნას ცდები უუფლებო მდგომარეობაში დასტოვონ კოლონიები „კონსტიტუციური წყობილების" დამოწმებით. ეს ცდები, — სთქვა მან, — არ შეიძლება სხვანაირად იქნას განხილული, თუ არ როგორც მისწრაფება გააძნელონ კოლონიების მოძრაობა თვითმმართველობისაკენ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებს იმ წყობილების შეცვლის შესაძლებლობას, რომელიც საშუალებას არ აძლევს კოლონიებს სრულუფლებიანი მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ცხოვრებაში. მაგალითად, წესდება ითვალისწინებს მეურვეობის საერთაშორისო სისტემის დაწესებას. ზოგიერთი, — სთქვა არუთინიანმა, — აქ ლაპარაკობს კოლონიურ სახელმწიფოთა საქმეებში ჩარევაზე. რეზოლუციის წარმოდგენილი პროექტი არავითარ ჩარევას არ ითვალისწინებს. დამახასიათებელია, რომ ლაპარაკი ჩარევაზე ყოველთვის მაშინ იწყება, როდესაც გადადგამენ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულია კოლონიებისათვის საერთაშორისო ცხოვრებაში დამოუკიდებელი როლის მისანიჭებლად. განა უფრო სწორი არ იქნებოდა, რომ ჩარევად მიგვეჩნია ისეთი კოლონიური ომი, როგორსაც ჰოლანდია ამჟამად ეწევა?

საბჭოთა წინადადებებს მხარი დაუჭირეს უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დელეგატებმა.

საბჭოთა რეზოლუციის პირველ კარს, რომელიც ითვალისწინებს აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის შემადგენლობის გაფართოებას, ხმა მისცა 7 დელეგაციამ — სსრ კავშირმა, იუგოსლავიამ, პოლონეთმა, უკრაინის სს რესპუბლიკამ, ბელორუსიის სს რესპუბლიკამ, ჩეხოსლოვაკიამ და ურუგვაიმ, წინააღმდეგ მიცემულია 24 ხმა, 14 დელეგაციამ თავი შეიკავა.

რეზოლუციის მეორე კარს, რომელიც ითვალისწინებს კოლონიების უფლებათა გაფართოებას კომისიასთან მათს ურთიერთობაში, ხმა მისცა 13 დელეგაციამ — სსრ კავშირმა, იუგოსლავიამ, ჩეხოსლოვაკიამ, პოლონეთმა, უკრაინის სს რესპუბლიკამ, ბელორუსიის სს რესპუბლიკამ, ინდოეთმა, ერაყმა, ლიბანმა, ფილიპინებმა, სირიამ, საუდის არაბეთმა და იემენმა. წინააღმდეგ ხმა მისცა 19 დელეგაციამ. 14 დელეგაციამ თავი შეიკავა. 11 დელეგაცია სხდომას არ დასწრებია.

ინგლისელები და ამერიკელები სამხედრო დამნაშავეებს იცავენ

ნიუ-იორკი, 18 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). № 6 (იურიდიულ) კომიტეტში დამთავრდა განხილვა იუგოსლავიის დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტისა სამხედრო დამნაშავეთა და მოღალატეთა იმ სახელმწიფოებისათვის გადაცემის შესახებ, რომელთა ტერიტორიებზეც მათ დანაშაული ჩაიდინეს. რეზოლუციის პროექტში გამოთქმული იყო მწუხარება, რომ ზოგიერთი ქვეყნის მთავრობები არ ასრულებენ გენერალური ასამბლეის მიერ 1946 წლის 13 თებერვალს მიღებულ რეკომენდაციებს სამხედრო დამნაშავეთა დაპატიმრებისა და სათანადო ქვეყნებისათვის გადაცემის შესახებ. რეზოლუციის იუგოსლავიის პროექტი შეიცავდა მოწოდებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისადმი — მიიღონ სასწრაფო ზომები ასეთ დამნაშავეთა შესაპყრობად და დაუყოვნებლივ გადასაცემად, რომლებიც მათს ტერიტორიებზე ან ყოფილ მტრულ ქვეყნებში იმყოფებიან.

საბჭოთა დელეგაციამ იუგოსლავიის რეზოლუციისათვის შეტანილ თავის შესწორებაში მოითხოვა აღინიშნოს, რომ მრავალი სამხედრო დამნაშავე ადგილგადანაცვლებულ პირთა ბანაკებში იმალება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისადმი მტრულ საქმიანობას ეწევა. საბჭოთა შესწორება შეიცავდა მოწოდებას მთავრობებისადმი მიიღონ ზომები ამ პირთა შორის დამალული სამხედრო დამნაშავეების გამოსავლინებლად და იმ ქვეყნებში გასაგზავნად, სადაც მათ დანაშაული ჩაიდინეს. შემდეგ შესწორებაში აღნიშნული იყო, რომ საჭიროა ადგილგადანაცვლებულ პირებს ყოველგვარი დახმარება გაეწიოს სამშობლოში დასაბრუნებლად. ამ მიზნით შესწორება წინადადებას აყენებდა, რომ ადგილგადანაცვლებულ პირთა ბანაკებში პოსტებიდან მოიხსნას ყველა ის პირი, ვინც მხილებულია იმაში, რომ აქეზებს სამშობლოში დაუბრუნებლობას, აიკრძალოს ყოველგვარი კომიტეტების საქმიანობა, რომლებიც აგიტაციას ეწევიან სამშობლოში დაბრუნების წინააღმდეგ, უზრუნველყოფილ იქნას ბანაკებში თავისუფალი მისვლა.

რეზოლუციის იუგოსლავიის პროექტისა და საბჭოთა შესწორების წინააღმდეგ გამოვიდნენ დიდი ბრიტანეთის და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები და ზოგიერთი სხვა დელეგატები. მათ სცადეს ისე დაესახათ საქმე, თითქოს არ არის რაიმე საბაბი იმისათვის, რომ მიღებულ იქნას რეზოლუცია სამხედრო დამნაშავეთა გადაცემის შესახებ. ინგლისისა და ამერიკის დელეგაციები ხმაშეწყობილად ამტკიცებდნენ, თითქოს გერმანიისა და ავსტრიის დასავლეთ ზონებში ყველა სამხედრო დამნაშავენი, გამცემლები კვისლინგები, რომელთა დამნაშავეობაც დამტკიცდა, შეპყრობილი არიან და იმ ქვეყნებს გადაეცნენ, სადაც დანაშაული ჩაიდინეს.

იუგოსლავიის, საბჭოთა კავშირის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში მოიყვანეს მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ გერმანიისა და ავსტრიის დასავლეთ ზონებში სამხედრო დამნაშავენი თავისუფლად დასეირნობენ, რომ უამრავი დამნაშავე იმალება ადგილგადანაცვლებულ პირთა ნიღბით. ჩიხში მომწყვდეულმა დამნაშავეთა და გამცემთა ინგლისელმა და ამერიკელმა ადვოკატებმა მალე შეიცვალეს პოზიციები. თუ დისკუსიის დასაწყისში ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ ამა თუ იმ დამნაშავის დამნაშავეობის დამამტკიცებელ საბუთებს, შემდეგ ისინი გამოვიდნენ რაიმე ფაქტებზე დაყრდნობის წინააღმდეგ იმ საბაბით, თითქოს ამ ფაქტების შემოწმება არ შეიძლება.

დისკუსიის პროცესში სრულიად აშკარა გახდა ინგლისისა და ამერიკის დელეგაციების პოზიციის მერყეობა. ამიტომ იუგოსლავიის წინადადებათა კენჭისყრის დღეს ინგლისის დელეგაციამ ახალ მანევრს მიმართა. მან ამ საკითხზე შეიტანა საკუთარი რეზოლუცია, რომელიც, ნაცვლად ცალკეული ქვეყნების მიერ გენერალური ასამბლეის რეზოლუციის შეუსრულებლობის ფაქტის კონსტატაციისა, „აღნიშნავს წარმატებებს სამხედრო დამნაშავეთა გადაცემისა და დასჯის საქმეში".

რეზოლუციის ინგლისური პროექტის წინააღმდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი როდიონოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს პროექტი არათუ ხელს არ შეუწყობს გენერალური ასამბლეის რეკომენდაციათა შესრულებას, არამედ კიდევაც შეაფერხებს სამხედრო დამნაშავეთა და გამცემთა გადაცემასა და დასჯას. ინგლისელთა მტკიცება, რომ სამხედრო დამნაშავეთა გადაცემისა და დასჯის საქმეში წარმატებებია მოპოვებული, ყალბია. საბჭოთა დელეგაცია ამტკიცებდა და კვლავაც ამტკიცებს, რომ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები გენერალური ასამბლეის რეზოლუციას არ ასრულებენ. სამხედრო დამნაშავენი კვლავ სათავეში უდგანან ადგილგადანაცვლებულ პირთა ბანაკებს, ადმინისტრაციული პოსტები უკავიათ იქ და დაუბრკოლებლად ეწევიან დანაშაულებრივ მუშაობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

საბჭოთა დელეგატი შეეხო ადგილგადანაცვლებულ პირებს და განაცხადა, რომ არავინ არ აყენებს სამშობლოში იმ პირთა იძულებით დაბრუნების საკითხს, რომლებიც სამხედრო დამნაშავეები და გამცემლები არ არიან. იუგოსლავიის რეზოლუციისათვის შეტანილი საბჭოთა შესწორებანი ითვალისწინებენ იმას, რომ სამხედრო დამნაშავეები გაძევებულ უნდა იქნან ადგილგადანაცვლებულ პირთა ბანაკებიდან, სადაც ეს დამნაშავენი ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან და აფერხებენ იმათ რეპატრიაციას, ვინც სამშობლოში დაბრუნებას ცდილობს.

რეზოლუციის ინგლისურ პროექტში, განაცხადა შემდეგ როდიონოვმა, ლაპარაკია არა სამხედრო დამნაშავეთა სავალდებულო გადაცემაზე, რასაც საერთაშორისო შეთანხმებანი ითვალისწინებენ, არამედ იმაზე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებმა ამის თაობაზე თხოვნით მიმართონ იმ სახელმწიფოებს, რომელთა ტერიტორიებზეც ეს დამნაშავენი იმყოფებიან. ამავე დროს სამხედრო დამნაშავეთა გადაცემა ყველა იმ მთავრობის მოვალეობაა, რომლებმაც ისინი უნდა გადასცენ იმ ვალდებულებათა შესაბამისად, რაც მათ საერთაშორისო შეთანხმებებით ეკისრებათ, და ამისათვის საჭირო არ არის განსაკუთრებული შეხსენება. ამასთანავე, რეზოლუციის პროექტი ფაქტიურად უფლებას იძლევა უარი სთქვან სამხედრო დამნაშავეთა გადაცემაზე საკმაო მამხილებელი საბუთების უქონლობის საბაბით. მაგრამ ეს საკითხი, საქმარისია, თუ არა დამამტკიცებელი საბუთები სამართალში მიცემულ დამნაშავეთათვის მსჯავრის დასადებად, იმ ქვეყნის საქმეა, სადაც მათ დანაშაული ჩაიდინეს, და რომელმაც უნდა გაასამართლოს ისინი.

როგორც საბჭოთა დელეგატმა განაცხადა, ის გარემოება, რომ რეზოლუციის პროექტი ასეთ წინადადებას შეიცავს, შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, რომ განზრახული აქვთ დაუმალონ სამხედრო დამნაშავენი დაინტერესებული ქვეყნების მართლმსაჯულებას და სურთ შეინარჩუნონ ისინი როგორც დაქირავებულნი, რომელნიც მზად არიან ყოველგვარი დავალება შეუსრულონ თავიანთ მფარველებს.

მას შემდეგ, რაც რეზოლუციის იუგოსლავიის პროექტი უარყოფილ იქნა, კენჭი უყარეს რეზოლუციის ინგლისურ პროექტს, რომლისათვისაც შეტანილი იყო მთელი რიგი შესწორებანი. პროექტის პუნქტი, რომელიც აღნიშნავს წარმატებებს სამხედრო დამნაშავეთა გადაცემისა და დასჯის საქმეში, აგრეთვე პუნქტი, რომელიც მოითხოვს ამა თუ იმ დამნაშავის დამნაშავეობის დამამტკიცებელი საბუთების წარდგენას მანამდე, სანამ იგი გადაცემულ იქნებოდეს, ამოღებულ იქნა რეზოლუციის პროექტიდან. შემდეგ პროექტს კენჭი უყარეს და ხმის უმრავლესობით მიიღეს.

ამერიკელ ბანკირთა ინტერესების დამცველნი

ნიუ-იორკი, 19 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.) მეორე და მესამე კომიტეტების გაერთიანებულ სხდომებზე დამთავრდა დისკუსია რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეთანხმებათა საკითხზე. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ორივე ამ სავალუტო-საკრედიტო დაწესებულებამ მოახერხა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან შეთანხმებათა პროექტებში მიეღო ისეთი პირობები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ორგანიზაციის წესდებას და მათთვის ქმნიან განსაკუთრებულ პრივილეგიურ მდგომარეობას სპეციალიზებულ დაწესებულებათა სისტემაში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ართმევენ უფლებას ამ ორგანოების საქმიანობა წარმართოს საერთო ინტერესების შესაბამისად.

ბანკისა და ფონდის დამცველებმა თავიანთ გამოსვლებში ვერაფერი ვერ დაუპირისპირეს იმ დამაჯერებელ კრიტიკას, რაც საბჭოთა დელეგატმა შეთანხმებათა პროექტებს გაუწია. ბელგიის დელეგატმა აღიარა, რომ შეთანხმებანი წარმოადგენენ „უხეირო კომპრომისს", მაგრამ აზრი გამოსთქვა მათი გადასინჯვის წინააღმდეგ იმ საფუძველზე, რომ ეს შეთანხმებანი უკვე განიხილა ეკონომიურმა და სოციალურმა საბჭომ. შემდეგ მან გაილაშქრა მცირე ქვეყნების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

„ჩვენ, — სთქვა მან, — სუვერენიტეტის ლიკვიდაციის წინააღმდეგი ვართ. ეს ჩვენი (გამოტოვებულია).

დასასრულ მან კომიტეტს აცნობა, რომ იგი ხმას მისცემს შეთანხმებათა პროექტებს, თუმცა „სრული მოწონების ღირსნი არ არიან".

ნორვეგიის დელეგატმა შეიტანა რეზოლუცია, რომელიც წინადადებას იძლევა დამტკიცდეს შეთანხმებანი ბანკთან და ფონდთან, თუმცა ამ შეთანხმებათა განხილვის დროს ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში მან ხმა მისცა მათს წინააღმდეგ.

ავსტრალიის დელეგატმა პროტესტი განაცხადა დაწვრილებითი დისკუსიაზე უარის თქმის ცდის წინააღმდეგ და ეჭვი გამოსთქვა, რომ წამოყენებულ შეთანხმებებს არ შეუძლიათ უზრუნველჰყონ თანამშრომლობა სპეციალიზებულ ორგანოებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შორის. ავსტრალიის დელეგატმა აღნიშნა, რომ ეს შეთანხმებანი მოწმობენ ბანკისა და ფონდის ხელმძღვანელობის გარკვეულ ტენდენციას ეს ორი ორგანო დააყენოს—გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლს გარეთ, და სთქვა, ამ შეთანხმებებისათვის კენჭისყრისაგან თავს შევიკავებო.

ბელორუსიის დელეგატი გამოვიდა ამერიკის დელეგატის ცდის წინააღმდეგ თავს მოეხვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის მისი წესდების საწინააღმდეგო შეთანხმებანი, და მოითხოვა, რათა ეს შეთანხმებანი შეესაბამებოდნენ წესდებას. კუბის დელეგატმა თავის გამოსვლაში საჭიროდ გახადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ წევრთა უფლება, რომლებიც ბანკსა და ფონდში არ შედიან, განიხილონ შეთანხმებანი ამ დაწესებულებებთან. ეს, უკაცრავად პასუხია, „კონცეფცია" მკაცრად გააკრიტიკეს თავის გამოსვლებში სსრ კავშირისა და უკრაინის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ცხადჰყვეს, რომ ცდას ბურთი ჩასჩარონ პირში იმ ოცდაათი ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებიც ბანკსა და ფონდში არ შედიან, მიზნად აქვს თავი დააღწიონ სრულიად დასაბუთებულ კრიტიკას და გაატარონ ისეთი შეთანხმებანი, რომლებიც ამ დაწესებულებებში მოპარპაშეებს შესაძლებლობას აძლევს იმოქმედონ ისე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები თავისი ვიწრო ეგოისტური ინტერესებისათვის დაარღვიონ.

უკრაინის სს რესპუბლიკის დელეგატმა დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა შეთანხმებათა მეორე და მეოთხე მუხლებს და ცხადჰყო, რომ ისინი სრულიად არ შეესაბამებიან წესდებას. მან პროტესტი განაცხადა აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ ბანკმა სესხი მისცეს ჰოლანდიის, რომელიც აგრესიულ ომს ეწევა ინდონეზიის რესპუბლიკის წინააღმდეგ, და მოითხოვა შეთანხმებათა გადასინჯვა. ამ შეთანხმებათა დასაცავად გამოვიდნენ პერუს, კოსტა-რიკის, კუბისა და კოლუმბიის დელეგატები. ისინი ჯამბაზურად იყენებდნენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „საერთო რეკომენდაციები", „კერძო რჩევანი", „საერთო თვალსაზრისი", „კერძო აზრი" და მოითხოვდნენ ამერიკელი ბანკირებისათვის სრული თავისუფლების მინიჭებას.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა შეიქმნას ქვეკომიტეტი შეთანხმებათა წარმოდგენილი პროექტების საწინააღმდეგოდ გამოთქმული აზრების უფრო დაწვრილებით განსახილველად. ამ წინადადებას ხმა მისცა 12 დელეგაციამ, მაგრამ იგი უარყოფილ იქნა 30 ხმით, ხუთმა თავი შეიკავა.

საბჭოთა დელეგატმა არუთინიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმ წრეების მისწრაფებათა საწინააღმდეგოდ, რომელთაც არ სურდათ, რომ ბანკისა და ფონდის საქმიანობა ფართოდ ყოფილიყო განხილული, დისკუსიამ კომიტეტში, რაც 4 დღეს გაგრძელდა, შესაძლებლობა მოგვცა ამ დაწესებულებებისათვის კარგად დასაბუთებული ბრალდებანი წაგვეყენებინა. ვერავინ ვერ შესძლო გაებათილებინა ან მიეჩქმალა ეს ბრალდებანი და ისინი გაფრთხილებას წარმოადგენენ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისათვის იმის შესახებ, რომ მათ არ მოუხერხდებათ თავი დააღწიონ ბეჯითს ყურადღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ფართო საზოგადოებრიობას მხრივ.

შემდეგ კენჭის საყრელად დაისვა სსრ კავშირის დელეგაციის წინადადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ შეთანხმების წარმოდგენილი პროექტები არღვევენ გაერთიანებული ერების წესდების პრინციპებს. რეზოლუცია წინადადებას აძლევს ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს დაიწყოს მოლაპარაკება ბანკთან და ფონდთან ამ შეთანხმებათა გადასინჯვის მიზნით. ამ წინადადებას ხმა მისცეს სსრ კავშირის, იუგოსლავიის, უკრაინისა და ბელორუსიის დელეგაციებმა, მის წინააღმდეგ ხმა მისცა 29 დელეგაციამ, 12 დელეგაციამ თავი შეიკავა კენჭისყრისაგან. ამის შემდეგ კომიტეტმა ხმის უმეტესობით გენერალურ ასამბლეას ურჩია დაამტკიცოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეთანხმებანი რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან.

კომიტეტმა უდისკუსიოდ ურჩია გენერალურ ასამბლეას დაამტკიცოს შეთანხმებანი მსოფლიო საფოსტო კავშირთან და ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირთან.

საფრანგეთში მუნიციპალური არჩევნების წინასწარი შედეგები

პარიზი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). გამოქვეყნდა წინასწარი შედეგები გუშინდელი მუნიციპალური არჩევნებისა. ქალაქებში, სადაც კენჭისყრა მოხდა პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით ერთ ტურად (დაახლოებით 400 ქალაქი, რომელთაგან თვითეულში არის 9.000 მეტი მოსახლეობა), არჩევნებში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 7.500.000 ამომრჩეველმა. დათვლილი 3.150.000 ხმა შემდეგნაირად ნაწილდება: დე გოლის მიერ შექმნილი „ფრანგი ხალხის გაერთიანება"—1.220.000 (35 პროცენტი), კომუნისტები—960.000 (27,5 პროცენტი), სოციალისტები — 480.000 (15 პროცენტი), „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობა"—320.000 (10 პროცენტი).

„ფრანგი ხალხის გაერთიანებამ" მიიღო უკიდურეს მემარჯვენე დაჯგუფებათა („თავისუფლების რესპუბლიკური პარტია" და სხვა.), აგრეთვე რადიკალებისა და უმთავრესად „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" ხმები. ამ პარტიამ, უკანასკნელ არჩევნებთან შედარებით, თავისი ხმების ნახევარზე მეტი დაჰკარგა.

გაზეთი „ლუმანიტე" ეხება არჩევნების წინასწარ შედეგებს და სწერს, რომ კომპარტიამ თავისი პოზიციები შეინარჩუნა მთელ საფრანგეთში. გაზეთი „ფრან-ტირერი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იქ, სადაც კომუნისტებმა და სოციალისტებმა საერთო სიები წამოაყენეს, როგორც, მაგალითად, კრეზის დეპარტამენტში, რეაქციამ ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია.

დე გოლელთა პროვოკაციები საფრანგეთში

პარიზი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). ამ უკანასკნელ ხანს გახშირდა შემთხვევები რეაქციონერთა გამოსვლებისა, რომლებიც მიმართულია დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ. გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ 18 ოქტომბერს დე გოლის „ფრანგი ხალხის გაერთიანების" რამდენიმე წევრმა სცადა თავდასხმა მოეწყო წიგნის გამომცემლობა „ლა რენესანს ფრანსეზ"-ზე, რომელიც იმყოფება საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში. გაზეთი „ლუმანიტე" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ თავდასხმის მოწყობით შეთქმულნი მიზნად ისახავდნენ კომუნისტებთან შეტაკების გამოწვევას.

როგორც გაზეთი „სე სუარი" იუწყება, 15 ოქტომბერს მარსელში განგსტერებმა „ფრანგი ხალხის გაერთიანებიდან" თავდასხმა მოახდინეს მარსელის კომუნისტურ გაზეთ „მიდი რუჟის" შენობაზე. ამან აღაშფოთა მარსელის მოსახლეობა, რომელიც მეორე დღეს შეიკრიბა ხსენებული გაზეთის შენობის ახლოს, რათა აღშფოთება გამოეთქვა ამ საზიზღარი თავდასხმის გამო.

ამერიკელი სენატორი მოითხოვს არ დაუშვან კომუნისტები საფრანგეთის მთავრობაში

პარიზი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „ფრან-ტირერმა" გამოაქვეყნა სტატია სათაურით „არ დავუშვათ კომუნისტები მთავრობაში—მოითხოვს ბ-ნი ბრიჯესი, და რამადიე ამის პირობას აძლევს ამერიკელებს". ბრიჯესი—ამერიკის სენატის საფინანსო კომისიის თავმჯდომარეს,—სწერს „ფრან-ტირერი", რომელიც ამას წინათ ჩამოვიდა საფრანგეთში როგორც დელეგაციის მეთაური, მთელი რიგი შეხვედრები ჰქონდა რამადიესთან, ბიდოსა და შუმანთან. ბრიჯესი, სწერს გაზეთი, იუწყება საინტერესო დაპირებათა შესახებ, რომლებიც მან საფრანგეთის მთავრობისაგან მიიღო, აგრეთვე თავის „რჩევათა" შესახებ.

— მე ფრანგ მინისტრებს ვუთხარი,—განაცხადა ბრიჯესმა,—ჩვენ მტკიცე იმედი გვაქვს იმისა, რომ საფრანგეთის მომავალი მთავრობა არ იქნება კომუნისტების კონტროლქვეშ. ჩვენ მივიღეთ დაპირება, რომ კეთილგონივრული თანამშრომლობის მეოხებით შეიძლება უეჭველად შევუშალოთ ხელი კომუნისტების მიერ გამარჯვების მოპოვებას.

ზანგი მწერლის დიუბუას განცხადება

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც „ნიუ-იორკ პოსტი" იუწყება, ზანგმა ისტორიკოსმა მწერალმა დიუბუამ განაცხადა, რომ ამერიკის დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ზანგების წინააღმდეგ დისკრიმინაციის საკითხის გამო მემორანდუმის ეგზემპლარი, რომელიც შეადგინა „ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობმა ნაციონალურმა ასოციაციამ" და რომლითაც ეს ასოციაცია გენერალურ ასამბლეას თხოვდა შეესწავლა ზანგთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის საკითხი.

მაგრამ დიუბუამ აღნიშნა, რომ „ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობი ნაციონალური ასოციაცია" ამჟამად ცდილობს ეს მემორანდუმი წარდგენილ იქნას ოფიციალური გზებით, და იგი მოლაპარაკებას აწარმოებს ამ საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივან ტრიუგვე ლისთან.

ბერძენ მონარქისტ ფაშისტთა პროვოკაციები ბულგარეთის წინააღმდეგ

სოფია, 20 ოქტომბერი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ 11 ოქტომბერს დილით საბერძნეთის მთავრობის ჯარის ნაწილები, 1-2 ასეულისა და სამოქალაქო ტანსაცმლით გამოწყობილი 40 შეიარაღებული ბერძნის შემადგენლობით, სოფელ კადიკოუდან (დიკეია), რომელიც საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვრის მახლობლადაა, გაემართნენ მდინარე მარიცაზე მდებარე ბულგარეთის კუნძულისაკენ, რომელიც ერთ კილომეტრზეა სვილენგრადის რაიონის სოფელ გენერალოვოს დასავლეთით.

საბერძნეთის ნაწილებმა ცეცხლი დაუშინეს ბულგარეთის ტერიტორიას, შეაღწიეს კუნძულზე, ცეცხლის საფარქვეშ გადალახეს მდინარე მარიცა და გადახტნენ ბულგარეთის ნაპირზე, ამასთან ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ მინდვრად მომუშავე ბულგარელი გლეხები.

საბერძნეთის ჯარები განლაგდნენ ბულგარეთის ნაპირზე და პროვოკაციული მიზნით ესროდნენ ბულგარეთის ტერიტორიას.

როცა გამოჩნდა ბულგარეთის მესაზღვრე ჯარების ასეული, ბერძენმა პროვოკატორებმა 2 ყუმბარა ესროლეს მათ და საბერძნეთის ტერიტორიაზე გაბრუნდნენ.

ერთი საათის შემდეგ საბერძნეთის მთავრობის არმიის 15 ჯარისკაცისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელსაც 30-40 შეიარაღებული სამოქალაქო პირი ახლდა, სოფელ ყარაგაჩიდან (ფტელია) გაემართა სოფელ ჩირმენისაკენ, რომელიც მდებარეობს ბულგარეთის სასაზღვრო პოსტის ახლოს, 3 კილომეტრზე სვილენგრადის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

დაახლოებით 13 საათზე საბერძნეთის ტერიტორიიდან ატყდა ტყვიამფრქვევის სროლა, და საბერძნეთის მთავრობის არმიის ასეულმა 50-60 ჯარისკაცის შემადგენლობით შეიარაღებულ სამოქალაქო პირებთან ერთად კუნძულიდან გადასვლა დაიწყო ბულგარეთის ნაპირზე.

ბერძენთა ასეულმა 80-100 მეტრი გაიარა ბულგარეთის ტერიტორიაზე და კვლავ დაუშინა ტყვიამფრქვევი ბულგარეთის პატრულს.

ბერძენმა ჯარისკაცებმა ისროლეს ორი ნაღმი, რომელთაგან ერთი მდინარე მარიცაში ჩავარდა, ხოლო მეორე ბულგარეთის ტერიტორიაზე—ნაპირიდან 150 მეტრზე. ბერძენთა ასეული, რომელიც სროლას განაგრძობდა, გადავიდა ბულგარეთის ნაპირზე და სცადა გარშემორტყმოდა ბულგარეთის პატრულს. ამ მომენტში ბერძენ პროვოკატორებს სროლა აუტეხა ბულგარელთა პატრულის დასახმარებლად გაგზავნილმა ბულგარელთა მესაზღვრე რაზმმა. ბერძენი პროვოკატორები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ბულგარეთის ნაპირი. ისინი სროლით იხევდნენ უკან.

ბულგარეთის მთავრობამ ამ ინციდენტის შესახებ აცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და პროტესტი განაცხადა საბერძნეთის მთავრობის ჯარების ამ უხეში პროვოკაციული აქტის წინააღმდეგ.

ქლუხორის ქუჩების გუდრონირება

დამთავრდა ქალაქ ქლუხორის ქუჩების გუდრონირება, რომელიც ჩაატარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გზატკეცილების სამმართველოს საგზაო-საექსპლოატაციო უბანმა (უბნის უფროსი ინჟინერი გოგორიშვილი). დაგუდრონებულია ქუჩები 4 კილომეტრის სიგრძეზე. ქუჩების გუდრონირებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რაიონის კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ და ქალაქის საწარმო-დაწესებულებებმა.

დ. რამიშვილი

ცხენოსანთა შეჯიბრება

24, 25 და 26 ოქტომბერს ფოთის ჰიპოდრომზე გაიმართება ცხენოსანთა სპორტული შეჯიბრება ლ. პ. ბერიას სახელობის თასის მოსაპოვებლად. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ცხაკაიას, ფოთის, სამტრედიის, ხობის, ზუგდიდის, სიღნაღის, კაჭრეთის, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და აჭარის ცხენოსანთა გუნდები. ფინალურ შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე საქართველოს სპორტულ საზოგადოება „დინამოს" ცხენოსანთა გუნდი. შეჯიბრების პროგრამაშია კონკურ-იპიკი, ჯირითი, ჩეხვა, დოღი, მარულა, ყაბახი და ისინდი. შეჯიბრებაში გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა გარდამავალი ჯილდო — ლ. პ. ბერიას სახელობის თასი. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ მიეცემა დიპლომები და ფულადი ჯილდოები.

ა. წურწუმია

ახალი საავადმყოფო ყაზბეგში

წელს სოფელ კობში გაიხსნა 10-საწოლიანი საავადმყოფო. საავადმყოფოსთან მოწყობილია სტომატოლოგიური კაბინეტი, საექიმო უბანი და აფთიაქი. საავადმყოფოს მოწყობაზე 16.000 მანეთი დაიხარჯა.

ა. თომაძე

ლექციები

23 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ამხ. სულეიმანის ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა"**.

ბილეთების მიღება შეიძლება რაიკომის პარტკაბინეტში.

23 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სალექციო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 33/35) შესდგება ლექცია თემაზე: **„საბჭოთა საქართველოს აყვავება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავისათვის"**.

ლექციას წაიკითხავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უფროსი მეცნიერ მუშაკი ამხ. ზაქაძე.

განმარტება

19 ოქტომბერს „კომუნისტში" მოთავსებული მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის 31-ე ტირაჟის ოფიციალურ ცხრილში სერიის 60507 ქვემოთ მომდევნო სერიის ნომერია 60611, რაც გაზეთის ზოგ ნომერში მკაფიოდ არ არის გამოსული.

25 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის სხდომათა დარბაზში (ხეთაგუროვის ქ. № 2) მოწვეულია **V რაიონული პარტიული კონფერენცია.**

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს: 1) ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის განყოფილების გამგის თანამდებობაზე, 2) ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის განყოფილების ორი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე, 3) ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: სათანადოდ შემოწმებული კადრების აღრიცხვის ფურცელი, ავტობიოგრაფია, დიპლომის ასლი, ცნობა სამეცნიერო ხარისხისა და სამეცნიერო წოდების მინიჭების შესახებ, სამეცნიერო ნაშრომების სია და თვით ნაშრომები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების რეცენზია და ფოტო სურათი.

კონკურსის ვადაა 15 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან (განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე — ძერჟინსკის ქ. № 8).

დირექცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ინფექციურ სნეულებათა კათედრის დოცენტის თანამდებობაზე. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს სათანადოდ შემოწმებული შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, დიპლომის ასლი, ცნობა სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მინიჭების შესახებ, სამეცნიერო ნაშრომების სია და თვით ნაშრომები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომების რეცენზია და ფოტოსურათი.

კონკურსის ვადა—ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე (მელიქიშვილის ქ. № 16).

დირექცია

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო საბჭოების, ფაბრიკა-ქარხნების და მოსახლეობის საყურადღებოდ.

საკავშირო „ტექრადიოს" საქართველოს განყოფილება იღებს შეკვეთებს აღნიშნულ ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან რადიოფიკაციის ყველა სახის სამუშაოზე, როგორიცაა:

რადიოკვანძების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, ქსელის გაფართოება და ყოველგვარი რადიოაპარატურის რემონტი.

„ტექრადიო" უზრუნველჰყოფს ყველა სამუშაოს შესრულებას გარანტიით, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების შემწეობით, რადიო-აპარატურით და მასალებით სახელმწიფო ფასებში.

პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, საკავშირო „ტექრადიოს" საქართველოს განყოფილება, ტელეფონი № 3-41-31".

ადმინისტრაცია

მოქალაქე **ვარლამ ფარნაოზის-ძე ბოქერიამ**, მცხოვრებმა სოფელ საგარეჯოში, აღძრა საქმე ქ. თბილისში, ლენინის ქ. № 46-ში მცხოვრებ მოქალაქე **თამარ იოსების ასულ ხახუტაშვილ-ბოქერიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

თამარა და არჩილ კოკილაშვილები იუწყებიან **იური იურიშიძის** გარდაცვალებას

შალვა ბუბაშვილი ცოლშვილით იუწყება დის **ეკატერინე ტარასის ასულ ბუბაშვილ-შენგელიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-X ქუთაისში, ნინოშვილის II შესახვევი, 5.

მეუღლე ვარდო, შვილები ნინო, თამარ, დები ვერა, ოლია, ძმები პეტრე, აფრასიონ ოჯახით, სიძე გ. კალანდაძე იუწყებიან **ერმილე მიხეილის-ძე ჩხარტიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-X, 7 ს. გამოსვენება 23-X, 5 ს. ართვინის, 22.

ვასო, პეპიკო ოჯახით, რძალი ვარდო დოლიძეები იუწყებიან **ეკატერინე ბეჟანის ასულ დოლიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-X, 7 ს. გამოსვენება 23-X, 4 ს. სასამართლოს, 30/7.

შვილი ვალერიან, რძალი თამარ, შვილიშვილები ელიზბარ, შალვა, ზინონ იუწყებიან **ნინო აბრამის ასულ გიორგაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-X, 6 ს. გამოსვენება 23-X, 5 ს. ყიფიანის, 29.

მეუღლე ლიდა, შვილი ვასო, რძალი მარო, შვილიშვილები ნუგზარ, ჯუმბერ იუწყებიან **გიორგი ქაიხოსროს-ძე ცერცვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ვაჟეში (თიანეთის რაიონი).

დედა დომნა, მეუღლე ვერა, შვილები ლიანა, ნაზი, და ნორა, მამიდები ელენა, დარეჯან ოჯახებით იუწყებიან **შოთა გიორგის-ძე გორდელაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებების პროპაგანდის — 3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 10905